ივლისი, 1930 წ. № 13 (37) წლიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

# დროშა





**რუსთაველის თეატრი საკავშირო ოლიმპიადაზე.** სურათი გადაღებულია წარმოდგენის დროს. პირველ რიგში: ამხ. კიროვი, კახიანი, სტალინი, ორჯონიკიძე და რეჟ. **ახმეტელი.** ზევით—რუსთაველის თეატრი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნი სა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16.
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
დაწუნებული მასალა არ ბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყრილობის პრეზიდიუმი

# ლენინის პარტიის XVI ყრილობა

„ვაი ევროპას, თუ ხუთწლიანი გეგმა შეს-ულდა"—სთქვა ლოიდ ჯორჯმა. სისხლია-ი იმპერიალიზმის იდეოლოგმა ამ სიტყვებში ამოსთქვა შიში, რომელსაც შეუპყრია მთე-ი ბურჟუაზიული ევროპა საბჭოთა კავში-ის ზრდის გამო. ომის შემდგომი ევროპის აძვალტყავებული სხეული შედარებით მო-ონიერდა დროებით სტაბილიზაციის დროს აგრამ განვლო „მოკეთების ხანამ" და კაპიტა-იზმის თანდაყოლილ სენმა ისევ ახალი ძა-ით იჩინა თავი. ეკონომიურმა კრიზისმა ვლავ გამოიწვია კაპიტალისტურ საზოგადოე ის დასუსტებული ორგანიზმის კრუნჩხვა, სა-ურადღებოა ის, რომ კრიზისის სათავე მდება-ეობს არა ევროპაში, არამედ კაპიტალისტუ-ი „აყვავების" ქვეყანაში—ამერიკაში. იქ კაპიტალისტურ ქვეყნებში) კრიზისი. აქ (საბ-ოთა კავშირში) გაძლიერებული წინსვლა, რმატებითი ბრძოლა „ხუთწლედისათვის".

სწორედ ამით აიხსნება ის უჩვეულო ყუ-ადღება, რომლითაც დღეს თვალს ადევნებს ელი მსოფლიო საკ. კ.პ. (ბ) მე-16 ყრილო-ს მუშაობას. ეს ის ყრილობაა, რომელიც უტი ციფრებისა და ფაქტების საშუალე-თ უმტკიცებს მთელ მსოფლიოს „ხუთწლე-ს" ძლევამოსილებას, ბოლშევიკური ტემპების გამარჯვებას, უმტკიცებს ყველას, რომ ხუთწლიანი გეგმა შესრულდება 4 წელიწადში, მეურნეობის ცალკე დარგებში კი 2-3 წელიწადშიაც.

ამხ. სტალინის მოხსენება ყრილობაზე — ეს არის მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში სოციალიზმის წარმატებათა გრანდიოზული ასახვა, ამავე დროს ეს არის სოციალისტურ მშენებლობის ყოველმხრივი დასაბუთებული და რეალური პროგრამა უახლოესი წლებისათვის.

მე-15-დან მე-16 ყრილობამდე ჩვენი მრეწველობა გაიზარდა უფრო მეტად, ვიდრე ის იზრდებოდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი წინანდელი პერიოდის განმავლობაში. ამ ფაქტში ყველაზე უფრო საყურადღებო ისაა, რომ გაიზარდა მძიმე მრეწველობა, მანქანა-იარაღების დამამზადებელი მრეწველობა, რომელიც წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველს მის, წარმმართველ ძალას, ისეთ ძალას, ურომლისოდაც ჩვენ თავს ვერ დავაღწევდით მსოფლიო კაპიტალიზმისაგან დამოკიდებულებას.

ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს შემდგომში შედარებით ჩქარი ტემპით წავიყვანოთ წინ მსუბუქი ინდუსტრია—ფართო მოხმარების საგანთა დამამზადებელი მრეწველობაც და თანდათანობით აღმოვფხვრათ საქონლის ნაკლებობა, რომელსაც ახლა განვიცდით.

ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობა შეიქნა მნიშვნელოვან მიჯნად სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. პარტიამ ამ ყრილობაზე აღიარა საკოლმეურნეო მშენებლობა პარტიის ძირითად ამოცანად სოფლად. მე-15 ყრილობის დადგენილების ცხოვრებაში გატარებით უდიდეს შედეგსაც მივაღწიეთ. მოვიყვანოთ ციფრები. მე-15 ყრილობამდე განსაზოგადოებული სექტორის პროდუქცია არ აღემატებოდა სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის 2 პროცენტს, სასაქონლო პროდუქცია კი — 7 პროცენტს. მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის მთელი სასაქონლო პროდუქციის ნახევარზე მეტს კი უკვე კოლმეურნეობები მოგვცემენ.

საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის ტემპმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

1927-28 წელში საბჭოთა მეურნეობებს საერთო პროდუქციას შეადგენდა 9,5 მილიონ ცენტნერს, 1928-29 წელში — 12,8 მილ. ცენტნერს, 1929-30 წელში კი მისი საერთო პროდუქცია მიაღწევს 28,2 მილიონ ცენტნერამდე. საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების ასეთი ზრდის პირობებში უკვე გადაჭრილად

შეიძლება ჩაითვალოს მარცვლეულის პრობლემა, უკვე აღმოფხვრილია ის საფრთხე, რომელზედაც იმედს ამყარებდნენ ტროცკისტები. „ბევრ სახელმწიფოს მოუტეხია კისერი პურის პრობლემაზეო“. ამით მოისპო ის საფრთხე, რომელმაც შეაშინა მემარჯვენეები.

საკითხავია: როგორ მოიპოვა პარტიამ ეს მიღწევები? ამ წარმატებებს პარტიამ მიაღწია მხოლოდ იმიტომ, რომ ის გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებდა ორ ფრონტზე — კონტრრევოლუციონური ტროცკიზმის და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ.

მემარჯვენე ოპორტუნისტებმა ვერ შეიგნეს რეკონსტრუქტიული პერიოდის მნიშვნელობა, მათ საკმაოდ ვერ შეაფასეს პროლეტარული რევოლუციის ძალები, ისინი დააფრთხო ჩვენი მეურნეობის ზრდის დროებითმა სიძნელეებმა. მემარჯვენეებმა ალღო ვერ აუღეს იმ გარემოებას, რომ დასრულდა კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პერიოდი და თავიანთი თეორიით, „მოწესრიგებული“ კაპიტალიზმის შესახებ დაეშვენ სოციალ-დემოკრატიის პოზიციებზე.

მემარჯვენე ოპორტუნიზმი ლამობდა პარტიის გაწირვას კულაკის წინაშე, იგი აუტანლად სტყლიდა ინდუსტრიალიზაციის განვითარების პარტიის მიერ დასახულ ტემპებს.

პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებამ დაამსხვრია მემარჯვენეთა უსუსური წინასწარმეტყველებანი. მემარჯვენეთა ზოგიერთი ბელადები ქედს იხრიან პარტიის წინაშე, ისინი აღიარებენ თავიანთ შეცდომებს და აღუთქვამენ ყრილობას, რომ იბრძოლებენ იმ შეხედულებების წინააღმდეგ, რომელთა გავრცელებასაც თვითვე შეუწყვეს ხელი.

5 წლიანი გეგმა სრულდება. იგი სრულდება ვადაზე ადრე — 4 წელიწადში. ამაზე ლაპარაკობს მე-16 ყრილობის ტრიბუნა, ამაზე ლაპარაკობენ ფაბრიკა-ქარხნებისა და კოლმეურნეობების პატაკები, რომელიც ჩააბარეს ყრილობას საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან გამოგზავნილმა დელეგატებმა. ხდება სოფლის მეურნეობის უდიდესი ტექნიკური რეკონსტრუქცია. ამის თავდებია სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის დასრულება, ამის თავდებია ის პირველი საბჭოთა კომბაინი, რომელიც ქარხანა „კომუნარის“ მუშებმა საჩუქრად მიართვეს ყრილობას და რომლის მსგავსი „საკვირველებანი“ ახლო ხანში ათასობით მოედებიან საბჭოთა კავშირის თვალუწვდენ ველებს.

და ამის შემდეგ ყველამ, ვისაც კი შერჩენია ლოგიკური მსჯელობის უნარი, უნდა გაიზიაროს ლოიდ ჯორჯის აზრი: „ვაი არა მარტო ევროპას, არამედ მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს, რადგან საბჭოთა ხუთწლედი სრულდება და სრულდება არა ხუთ წელიწადში, არამედ გაცილებით ადრე“.

**ᲙᲐᲜᲓᲘᲓ.**

# საზოგადოებრივი კვების როლი

## მშრომელთა მაჯანსაღების საქმეში

შრომის ნაყოფიერების გადიდება და ძველი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა ახალ სოციალისტურ საფუძველზე შეუძლებელია საკმაო კვების—ადამიანის ამ ძირითადი საარსებო მოქმედების გარეშე, მუშათა კლასის გეგმაშეწონილი კვების გარეშე, საზოგადოებრივ კვებაზე გადასვლის გარეშე.

საზოგადოებრივი კვების საკითხები, რომლებიც ამჟამად მშრომელთა ფართო მასების ასეთ ყურადღებას იქცევენ, ახლო წარსულში ნაკლებად აინტერესებდა მათ. თუ მივმართავთ სახალხო კვების მდგომარეობას ყოფილი მეფის რუსეთში, არსებული მასალები,—„სტატისტიკური ცნობები“—აშკარად გვიჩვენებენ, რომ სახალხო კვების საქმე მეტად ცუდად იყო მოგვარებული, პირველხარისხოვან რესტორანებში, რომლებზედაც ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიის პატარა წრეს, დიდ ყურადღებას აქცევდნენ მარტო გარეგან მხარეს.

ეს პირველხარისხოვანი რესტორანები ნაკლებად ჩაითვლებოდნენ საზოგადოებრივი კვების ადგილებად. ეს იყო გასართობი ადგილები, სადაც მეფობდა ლოთობა, ლოთობა და გარყვნილება.

ამასთან ერთად მშრომელთა ფართო მასების საზოგადოებრივი კვების ადგილები მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ ჰიგიენურ პირობებს. უხეირო საკვების გამო, ხშირად ისინი საშიშროებას წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის, ხოლო ზოგჯერ ისეთ ადგილებსაც, საიდანაც სხვადასხვა ავადმყოფობა ვრცელდებოდა.

საქართველოს მოსახლეობის ძირითადი მასა—გლეხობა, აუწერელი სიღარიბის გამო, ნახევრად მშიერი იყო. გლეხობის საზრდო მეტად ღარიბი და ერთფეროვანი იყო და ასეთივე დარჩა დღემდე.

სისტემატიური სიმცირე საკვებისა, რომელიც მოკლებული იყო ცხიმოვან ნივთიერებებს და ვიტამინებს, სიუხვე ისეთი სანელებლებისა, როგორიც არის ტყემალი და პილპილი, იწვევდნენ სხეულის საერთო დასუსტებას, ამცირებდნენ მის გამძლეობას და ამით ხელს უწყობდნენ საინფექციო ავადმყოფობათა გავრცელებას. ასეთ სისტემატიურ და ხანგრძლივ, არასაკმაო და ერთფეროვან კვებას შედეგად მოსდევდა როგორიც პელაგრისთანა სენი, ისე ჭლექი და მალარია.

უკეთესად არც მუშათა კლასი იკვებებოდა. ხანგრძლივი სამუშაო დღე, დაბალი ხელფასი, შრომის მეტად არაჰიგიენური პირობები, ცუდი ბინა,—ყველაფერი ეს ძირს უთხრიდა მუშის ჯანმრთელობას.

ცოლშვილიანი მუშები, რომელნიც სახლში იკვებებოდნენ, იძულებულნი ხდებოდნენ შეეძინათ იაფი, დაბალი ხარისხის და მეტად ერთგვარი სანოვაგე.

საზრდოს მომზადება მთლიანად და მძიმე ტვირთად აწვებოდა მუშის ოჯახის ქალთა ნაწილს. სამზარეულო, ბავშვების მოვლა და ყოველ გვარი სხვა სამუშაო ოჯახში მეტად მძიმე, აუტანელ და უნუგეშო შრომას აკისრებდა ქალს.

ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო მარტოხელა მუშის ან იმ ოჯახის კვების საქმე, საიდანაც ქმარიც და ცოლიც სამუშაოდ დადიოდა. მათ საზრდოს შეადგენდა ან მშრალი საჭმელი ან უხეირო სადილი დაბალი ხარისხის სამიკიტნოებსა და სასადილოებში, რომელნიც მეტ წილად კერძო პირებს ეკუთვნოდნენ.

ამ სასადილოებში, უხეირო საზრდოსთან ერთად მუშას ხილვამლილად ეძლეოდა მაგარი სასმელები, ამასთან ნისიად, ჯამაგირის პირველ მიღებამდე.

ოქტომბრის რევოლუციის დროს და სამოქალაქო ომის და იმპერიალისტური ინტერვენციის პირველ წლებში ფართოდ გაიშალა საზოგადოებრივ სასადილოთა ქსელი. მაგრამ ამ დროს საზოგადოებრივი სასადილოები, რომლებიც სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს ეკუთვნოდნენ, მთავარ მიზნად ისახავდნენ არა კვების გაუმჯობესებას, არამედ სურსათისა და სათბობის რაციონალურად და უფრო ეკონომიურად განაწილებას.

ამჟამად, სახელმწიფოს მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის დროს, საზოგადოებრივი კვების ამოცანა თვალსაჩინოდ გაფართოვდა და შეიცვალა. ჩვენი ქვეყნის მწარმოებელ ძალთა სწრაფი ზრდა, მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელს ხდის მშრომელთა მასების ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასაც და სვამს საკითხს ახალ საფუძველზე საყოფა-ცხოვრებო ურთიერთობათა გარდაქმნის შესახებ.

ამის მიხედვით ცხოვრება საზოგადოებრივ კვებას უკავშირებს ძველი ყოფა-ცხოვრების დაშლა-დანგრევას. ქალის ნამდვილად განთავისუფლებას სამზარეულოში მუშაობისაგან და მის ჩაბმას საზოგადოებრივ თვითმოქმედებაში.

ამჟამად საზოგადოებრივი სასადილოების ქსელი წლითი-წლობით ფართოვდება. მაგრამ ამ სასადილოებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლიათ იმისთვის, რომ მათ სავსებით დააკმაყოფილონ მუშათა მოსახლეობა. ამას წინად საქართველოში მოხდა საზოგადოებრივი კვების დათვალიერება. ამ დათვალიერებამ გამოარკვია, რომ ამ ფრონტზე ბევრი რამ მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია.

ფასები სასადილოებში ყოველთვის არ არის ხელმისაწვდენი მუშისათვის, მეტ წილად სასადილოები მოთავსებულია შეუფერებელ სადგომებში, იქ მომზადებული საჭმელი ერთფეროვანია, უგემური და ნაკლებად ნოყიერი, ამასთან უხვად შეზავებული პილპილით და სუნელით. სასადილოების ქსელი საკმაო არ არის, რაც დიდ რიგებს იწვევს, როგორც სამზარეულოში, ისე თვით სასადილოებში არ იცავენ ჰიგიენის ელემენტარულ წესებს. ბევრგან ფართოდ ვაჭრობენ მაგარი სასმელებით.

ყველაფერი ეს აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ ჩვენი სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციები, რომელთა ხელშიაც ეს სასადილოებია, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სახალხო კვების საკითხებს, არ მოიპოვება საკმაოდ გამოცდილი კულინართა კადრი; შემდეგ იმით, რომ სახალხო კვების საკითხები ჯერ კიდევ არ შესწავლილა მეცნიერულად.

სახალხო კვების ორგანიზაციის საქმის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა შემდეგი ხუთი ძირითადი წესის დაცვა:

1. საკვები ნოყიერი უნდა იყოს;

2. საკვები თავისი შემადგენლობით ერთფეროვანი არ უნდა იყოს, იგი პროპორციონალურად უნდა შეიცავდეს ძირითად საკვებ ნივთიერებებს;

3. საკვები გემრიელად უნდა იყოს მომზადებული;

4. უნდა შეიქმნას სათანადო მოწყობილება კვების პროცესისათვის, ე. ი. სასადილოები უნდა წარმოადგენდნენ დასვენების და გონიერი გართობის ადგილებს;

5. ფასები ხელმისაწვდენი უნდა იყოს.

როგორც ხედავთ, საბჭოთა საზოგადოებრიობამ საზოგადოებრივი კვების საკითხები პირველ რიგში დასვა.

ეს გასაგებიც არის. რაციონალურად მოწყობილი საზოგადოებრივი კვება მუშათა კლასის ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი ფაქტორია. საზოგადოებრივი კვების საქმის განხორციელების წყალობით განთავისუფლებული მუშა-ქალი ან მუშის ცოლი შესძლებს მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმაროს საზოგადოებრივად სასარგებლო შემოქმედებით სამუშაოს.

საზოგადოებრივი კვების საქმეს უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც კოოპერატიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ისე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა და მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ კვების საკითხების მეცნიერულად შესწავლას, რაშიაც მათ მატერიალურად უნდა დაეხმარონ საზოგადოებრივი კვების საქმეში ჩაბმული სამეურნეო ორგანოები. ეხლავე უნდა დაიწყოს სასადილოების და ფაბრიკა-სამზარეულოების ქსელის გაფართოვება. ამავე დროს უნდა ვიზრუნოთ გამოცდილ კულინართა კადრების მომზადებისათვის.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამხ. კალინინს, რომელმაც გემო-კვების სრულიად რუსეთის მე-4 ყრილობაზე სთქვა: იმ დრომდე, სანამ ჩვენ ყველანი საზოგადოებრივ კვებაზე არ გადავალთ, სასაცილოა ლაპარაკი კომუნიზაციაზე.

[illegible]

# მზე აღარ ჩადის

## (ერთი თავი მოთხრობიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერემო დაშოშმინდა. რამდენიმე უზურგო სკამი ერთმანეთზე მიაწყო და წამოწვა.

— ძილიუნებს შეაგვიანდებათ. ეგება თვალი მოვატყუო ცოტათი. გადირბინე ერთი ბარნაბასთან, ერემომ შემოგითვალა, სალამის ჩემთან გადმოდითქვა. გავარდი.

მექი გავიდა, მაგრამ მალე შემობრუნდა და შემოუძღვა ნადიაკვნარს, რომელსაც თუნუქის ვეება ფურცელი წამოეგდო ზურგზე.

— მოიტანა!

სთქვა მექიმ და ცნობის მოყვარეობით მიშტერიდა ფურცელს.

— დაგიხატე მარა რა დაგიხატე, ვივესკაა მარა რა ვივესკა! მზის ჩასვლამდე რო უყურო, არ მოგწყინდება!

აქაქანდა ნადიაკვნარი და ისეთი სიფრთხილით, მზრუნველობით გადმოიღო ფურცელი და მიადგა კედელს, თითქო თუნუქის ნაცვლათ ბიბა უჭირავსო.

ძველი აბრა დიდი ხანია გამოხუნდა. ავდარმა ნახევრად ჩამორეცხა წარწერა. ერემომ გადასწყვიტა მისი შეკეთება, მაგრამ მაშინ როგორღაც საამისოთ ვერ მოიცალა. შემდეგ კიდეც მიავიწყდა. ვინ იცის როდის გაიხსენებდა, რომ გასულ კვირას თავისი ვაჟის, კოწიას წერილი არ მიეღო.

...მამაჩემო!

მთელი გაზაფხულის მაკადინობამ და სტავლამ ტყულა იმასავით ჩამიარა. რატომ? გამოცდები ვერ დეიჭირე? შემეკითხები შენ. გამოცდები ფრიადებზე ჩავაბარე, გეუბნები მე, მარა ინტრიგები მომიწყვეს. სოფლიდან ვიღაცამ გამცა. ცნობა გამოგზავნა პედაგოგიურ ტეხნიკუმში რომე კოწია პიტახია შავსიელის და მიკიტანის შვილიაო. მამა მისთან კავშირი არ გოუწყვეტიაო; გამატარეს წმენდაში და ქე გამომრიცხეს; ხო გეიგე ახლა შენი გულიზა რაფერ დევილუპე. შენ კი რაცხა ხუთთუმანს მიგზავნი თვეში და იმასაც იმადლები. ახლა დატრიალდი მაქანე. ალმასკომის თავმჯდომარე შენი კაი ნაცნობია, როგორმე მოახერხე და გამოართვი იმისთანა ქაღალდი, რომ მე და შენ გაყრილები ვართ. რომ მე ცალკე ვცხოვრობ და შენს ქმაყოფაზე არ ვიმყოფები. ამასთან ერთად, გეუბნები მე, სახარჯო ფულიც გამომიგზავნე. ყორიფელს ორ დღეში ველი. ვივესკაზე რო გიწერია გაშანშალებული ასოებით „პიტახიას სამიკიტნოვო", შენი ხელით რატო ლესავ ჩემ დასაკლავ დანას გეუბნები მე. მაგასაც რამე მოუხერხე. ან თლათ ჩამოიღე ან გამოცვალე.

შენი მოსიყვარულე შვილი კოწია.
ქუთეისიდან.

— ბიჭოს, ჩვენი ალმასკომის თანჯდომარეზე თუა საქმე, იმდენი პატივი კი მიცია მისთვის, რომ ამისთანა ერცახე საქმეზე არ გამაწბილებს!

წამოიძახა ერემომ.

დაფაცურდა. ფორმალურად შვილს გაეყარა. შესაფერი ქაღალდები იშოვა. რამდენიმე თუმანიც დაადო ზედ და სანდო კაცის ხელით გაუგზავნა კოწიას.

იმავე საღამოთი მონახა ნადიაკვნარი, რომელიც სოფელში ცნობილი იყო როგორც მიცვალებულთა სურათების ჯარჩოების ოსტატი და მხატვარი და შეუკვეთა აბრა.

---

— როგორ მოგწონს, სასადილო „წითელი სამოთხე"! ახლანდელ დროს რო შეეფერება იმისანა სახელი მოვიგონე!

ეშმაკურათ იღიმება ნადიაკვნარი. ხან ერთის მხრიდან გახედავს აბრას, ხან მეორედან მიუდგება, მერე მოუთმენლად ერემოს გადაჰკრავს თვალს, თითქო ეკითხება:

— სთქვი რაღა შენ მამაცხონებულო, მოგწონს თუ არა?!

წი..თე..ლი.. სამო...თხე; კმაყოფილის კილოთი დამარცვლა ერემომ წარწერა, მერე ერთბაშად გადაიკითხა, სურათი დაათვალიერა, თითები გადაუსვა და მოიწონა.

— ბიჭო, რაცხა მადლი ქე გაქ მა ხელებში, მარა ნამეტანი მეძვირე ხარ!

ის იყო გამოაღო უჯრა და ხელის გულზე გაიშალა ვერცხლის აბაზიანები, რომ უცბათ მექიმ თითქო ცხენებს მიერეკებაო, ხმამაღლა დაიწრიუწუნა.

ნწ...

აბრას მიუახლოვდა, გულდასმით დააკვირდა, შემდეგ უკან დაიხია და შეეცადა თავისი ტანისათვის ისეთივე მდგომარეობა მიეცა, როგორიც აბრაზე გამოხატულ **მზისკენ მიმავალ კაცს ქონდა.**

ის წაბარბაცდა.

ამ გარემოებამ მექი ნათლად დაარწმუნა თავის იჭვებში.

— სწორათ ვერ დოუხატავს! როგორც ვივესკაზეა გამოყვანილი, ისე მისდღემჩი ვერ გაჩერდება კაცი. მაშინვე წაიქცევა.

გაიფიქრა მან. ერთხელ კიდევ გადაიზნიქა, დაიგრიხა, ხან ჩაიკეცა, მაგრამ მზისკენ ხელებ გაშვერილ კაცივით მაინც ვერ დადგა.

მოკრძალებით ჩაიცინა და ნადიაკვნარს შეხედა.

— აბა დადექი, როგორც მა კაცი დგას!

ჩაილაპარაკა თავისთვის. სიცილი რომ არ ავარდნოდა, პირი მაგრადდამუწა, გაიბერა და მიტრიალდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და მისმა გულიანმა რახრახმა დუქანი შეარყია.

ერემომ შეასწრო მექის. უნდოდა ეყვირნა, მაგრამ სიბრაზე შეეცვალა სიბრალულათ, რომელსაც ჩვენში ჭკუანაკლები ადამიანის დანახვა იწვევს.

— რას მაიმუნობ ბიჭო! დაგავიწყდა რაც დავალე!

მიმართა ნახევრად წყრომის კილოთი. მექი გაჩუმდა გადახედა აბრას, მერე ნადიაკვნარს გაუსწორა თვალები და ჩუმად გავიდა.

დუქანში დარჩენილებმა თვალი გააყოლეს.

ერემომ მხრები აიჩეჩა.

— ხანდახან რომ შეხედო, დასწყევლოს ეშმაკმა, რავა ვიფიქრებ რამეს, ხანდახან კი წამოიროშავს რაღაცა და ხომ დაინახე ახლა. რას იგრიხებოდა ახლა?! ამ ვივესკასთან!!

— უქრის, უქრის! — გაიცინა ნადიაკვნარმა, — ხრიკუნია ტყვილა დაარქვეს?!

მიკიტანმა ღვინო დაასხა.

— ობოლია, სამადლოთ ვინახავ, სამადლოთ. მაგი რომ საქმის გამკეთებელი არაა, ამას ყველა ხედავს. მიირთვი.

ჯიქი ჭიქა მას გაუწოდა. პატარა თავისიანეს გაივსო.

უხიდოს მოქალაქეებს ჭკუანაკლებათ მიაჩნდათ მექი. მე თქვენ გიამბობთ საიდან და როგორ გავრცელდა ასეთი აზრი. თქვენ რას იტყვით! ვინ იცის, შეიძლება არც კი დაეთანხმოთ უხიდოს პატიოსან მოქალაქეებს.

ეს მოხდა რამდენიმე წლის წინათ. მაშინ ჩვენს სოფელში საბჭოთა ხელისუფლება მყარდებოდა, მექის ტანში კი მეთუთხმეტე წელი.

სოფელში მექი ერთად ერთი არსება იყო, რომელიც არ აგინებდა თავის გამჩენს.

ბევრს ამუშავებდენ?

სხვა ვინ იყო გულზე ხელდაკრეფილი.

საჭმელი აკლდა?

ვის ქონია მუდმივათ.

რა უყოთ, რომ მის ზურგზე ხშირათ მოძრაობდენ ერემო პიტახიას, მისი „ხაზეინის" ბალანიანი მუშტები.

უხიდოს მოქალაქეებს შვილების ცემატყეპა ისევე საჭიროთ და აუცილებლად მიაჩნიათ, როგორც მათი მონათვლა და გაზრდა.

თავის ტოლებისაგან მექი მხოლოდ მით განირჩეოდა, რომ მათზე უფრო ჩუმი, წყნარი და მორიდებული იყო. მისი ტოლები ხშირად იცინოდენ და მხიარულობდენ. მექის კი მხოლოდ მაშინ გაუნათლდებოდა სახე, როცა მას, ერემოს ქალი, ყოველთვის სუფთად ჩაცმული, ამაყი და მიუკარებელი 16 წლის თალიკო სათამაშოდ დაუძახებდა. ყოველთვის მშვიდი და აუღელვებელი მექი თალიკოს დაძახილზე დაფეთებულივით მოწყდებოდა ადგილიდან და...

— საყვარელო მექი, შენ თამაშობას იძახი იმას, რომ მუხის ტოტზე საქანელას გამოჰკიდებდი, თოკზე კრამიტს ვადებდი და ტუჩებ მოკუმულ, მუდამ რაღაცაზე უკმაყოფილო ქალიშვილს აქანავებდი და არწევდი. შენ თავის დღეში არ დამჯდარხარ იმ საქანელაზე. შენ აზრათაც არ მოგსვლია, რომ ეს შესაძლებელი იყო. შენ მხოლოდ ხედავდი მაშინ.

— ეხლა არ დამიძახონ. არ დამსაქმონ. და არ მომაშორონ...

მაგრამ რას ვამბობ! გადაუხვიე. როგორც შენ საქანელაზე დაჯდომა, ეგრე მეც, ჩემო მექი, ზოგიერთ კრიტიკოსებისაგან აკრძალული მაქვს სიყვარულზე ლაპარაკი.

სიყვარულზე?!

—არა მექი, შენ არ გიყვარდა ის. შენ ეს არ შეგეძლო. შენ მხოლოდ გიხაროდა მასთან თამაში.

შენ ბედნიერი ხარ.

შენ არ იცი რას ნიშნავს ეგ სიტყვა, მაგრამ შენ შეგიძლია ზამთარში შუაღამით ძვლებსაც რომ წაგართმევს, ისეთ ყინვაში, ფეხშიშველი წახვიდე ტყეში შეშის მოსატანად, და შენ კი გეგონება, რომ ტუჩებ მოკუმულმა და მუდამ რაღაცაზე უკმაყოფილო თალიკომ საქანელას გადმოკიდება დაგავალა. შენ ასე გგონია. შენ არ გცივა და მხოლოდ ამიტომ ვერ მოსტეხა შენი თუთხმეტი წელი აუტანელმა შრომამ, სიმშილმა და სიცივემ.

ნეტავი შენ.

---

კვირა დღე იყო.

მინდორზე, ცაცხვების ქვეშ სოფლის ბიჭებს ჭიდაობა გაუმართავთ. იწვევენ, ეჯიბრებიან. ედავებიან ერთმანეთს და მათ ალგზნებას უფრო აძლიერებს განიერ ჩრდილის ქვეშ საყურებლად მოკალათებული უფროსები.

— კვანტი გამოჰკარი.

— ე, ბიჭო სარმა.

— მეგვერდული

— კისრულით წამოიღე.

გაჰკივიან ენება-მორეული ბიჭები. ეხვევიან აქოშინებულ მეტოქეებს. ირჩევენ ახალ თალავანებს და სანაძლეოს სდებენ, რომელი რომელს დასჯაბნის, რომელს რომელი მოერევა.

— ხაჟომიას წამქცევი ჩვენს სოფელში არ დაიარება.

წამოიძახა ერთმა, როცა ხაჟომიამ უკანასკნელი მეტოქეც—თალიკოს ძმა, კოწია კუნძივით დააგდო მოლზე.

ჟრიამული. ყვირილი.

არაა სწორი. წელქვევით ხელის წატანება არ შეიძლება.

— სწორია თუ არა, აქ დაგიმტკიცებ! შემოდი წრეში.

შეუბღვირა გამარჯვებულმა ხაჟომიამ ახლო მდგომ ამხანაგს.

— ჩემთან რა გინდა. მე კი არ ვყვიროდი!

წაიბუტბუტა მან და სადღაც გაძვრა.

— ვის გინდათ კიდევ?

იძახის გაამაყებული ხაჟომია. ჭიდაობის მსურველი არ აღმოჩნდა. ხაჟომიას გული მიეცა. ტრაბახი დაიწყო.

— ექვსი ხომ დავავოტრიალე! ეხლა ცალი ხელით დაგეჭიდებით. თუ გინდათ, ორი მოდით ერთად.

ბიჭები ხმაურობენ. ნუ გეშინია, გადი! აქეზებენ ერთი-მეორეს. ვიღაცა ხელის კვრით მიაგდის ხაჟომიასთან.—იქნებ თითონ ხაჟომიას მოუვიდეს გონი და ხელი დაატანოსო. მაგრამ ყოველგვარი ცდა უნაყოფოდ დამთავრდა.

ხაჟომია მამლაყინწობს და უფროსებს გასაგონათ იძახის.

— ორი დამეტაკეთ, ორი! დედა არ მომიკვდეს, მარჯვენა ხელს არ მოვიხმარ, მარცხენათი გამოვალ

ბიჭები დარწმუნებული არიან, რომ ხაჟომიას ორი აუცილებლად წააქცევს. რა არის აქ მოულოდნელი და გასაოცარი. ამიტომ ერთის წინააღმდეგ ორის გასვლა არავის არ აინტერესებს.

თალიკო ჭიდაობის დაწყებისას მოადგა ღობის და თავიდანვე ადევნებს თვალ-ყურს. პირველათ ხაჟომიას მხარე დაიჭირა, მაგრამ კოწიას წაქცევის შემდეგ, თავი დამცირებულად იგრძნო. ხაჟომიას გადაჭარბებულმა ზვიადობამ და ტრაბახმა კი ცეცხლმოკიდე-

ბუღლივით აუწვა სახე. ეხლა ყველაზე მეტად მას ენატრებოდა მისი დამარცხება.

— შეშინდენ. ორმა ვერ გაბედა ერთთან ჭიდაობა!

ჩაილაპარაკა ზიზღით.

იქვე ღობის ძირში ჩამჯდარ მექის მოჰკრა თვალი.

— გლახა, დეიმალე!

დასძახა ზემოდან ისეთი კილოთი, თითქო მექი იყო იმის მიზეზი, რომ ხაჟომიას ბეჭები ვერ დაადებინეს მიწაზე. მახლობლად მექის გარდა არავინ იყო და თალიკომაც მასზე ამოიყარა ჯავრი.

— გლახა!

გაიმეორა მან. კიდევ აპირებდა სიტყვის გაგრძელებას, რომ უცებ გახევდა, თითქო მოულოდნელმა სანახაობამ მოსტაცა თვალი.

მექი მიდიოდა ცაცხვებისაკენ.

პირველად მან ვერ გაარჩია ვის ეკუთვნოდა თალიკოს სიტყვები, მაგრამ შეავლო თუ არა თვალი ქალიშვილის ალეწილ სახეს, მაშინვე მიხვდა ყველაფერს და ანგარიშ მიუცემლად წამოსტა:—აქ რას დაგდებულხარ. ვერ ამჩნევ, როგორ მინდა დავინახო ხაჟომიას ბეჭები მიწაზე? ამოიკითხა მან თალიკოს სახეზე. გული დაწყდა.—რატომ აქამდე ვერ მიუხვდი თალიკოსო...

მიხვედრა ადვილი იყო, მაგრამ მის შესრულებას ათასგვარი დაბრკოლება ელობებოდა. ჯერ ერთი, მექიმ არ იცოდა ჭიდაობა. თავის დღეში არ შებმია არავის. მეორეც ის, რომ...

აი ეხლა ის მიდიოდა ცაცხვებისაკენ. გადაწყვეტილი ქონდა ეჭიდავნა, მაგრამ არ იცოდა როგორ გამოეწვია მეტოქე, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა ისეთი, რომ სასაცილოდ არ აეგდოთ მისი გამოწვევა და ანგარიში გაეწიათ მისთვის.

ჯგუფს რომ მიუახლოვდა, გული ეგზომ გამალებით უძგერდა, თითქო მას ერთბაშად, ერთ წამში უნდა შეესრულოს თავისი მოვალეობა და შემდეგ დადუმდესო.

უკან მოიხედა, თალიკო აღარ სჩანდა ღობესთან.

ერთბაშად მოეშვა. თითქო იმ ძალამ და ჭაოთავობამ, რომელმაც საშინელი სისწრაფით ამოავსო მისი სხეული, თავი იჩინა და მთლიანად გადმოიღვარა. ეგ იყო წამით. თალიკო მაშინვე დაინახა. ის გამოქცეულიყო ეზოდან და უფროსებს შორის მოერთხა ფეხი. ისეთი გაკვირვებული სახე ქონდა, თითქო ეგ არის შეამჩნია რომ მათი ძაღლი, ყურშავა ადამიანურ ენაზე აპირებს დალაპარაკებასო.

მექი მიუახლოვდა ბიჭებს და უხერხულად გაჩერდა. ყველაზე მეტად ხელებმა შეაწუხა. არ იცოდა სად წაეღო. როგორ დაეჭირა. მისი ხელები თითქო გაცემას უპირებდენ მას. ამიტომ შესდგა და მკლავების დაკაპიწება დაიწყო.

— ხაჟომია შორი-ახლო დადექი, თორემ ეს არის ამოგიდვა ფეხქვეშ!

დაიძახა ერთმა. მოხდა ის რაც ყველაზე მეტად აშინდებდა მექის. ატყდა ხარხარი. მექი არ დაიბნა. არ გამობრუნდა, როგორც მოსალოდნელი იყო. ამ წუთში მას მართლაც და ძალიან სასაცილო შეხედულება ქონდა. მექიც გრძნობდა, რომ ამ ხარხარის შეჩერება, ბიჭების გულის მონადირება, მათში თანაგრძნობის ძოპოება შეუძლებელი გახდებოდა მისთვის, თუ ეხლავე არ დაიწყებდა მოქმედებას.

რამდენიმე ნაბიჯი სწრაფად წადგა წინ და ხაჟომიას წინ აეყუდა.

— შენ რაღა გინდა?!

პასუხის მაგიერ მექი ორივე ხელებით დაწვდა ქამარში ხაჟომიას, მოზიდა, შეანჯღრია. ზევით ასწია და უბიძგა.

ხაჟომიამ წაიბარბაცა, რამდენიმე წამით გაოგნებული იდგა, არ იცოდა მექის ასეთ საქციელზე რით ეპასუხა. გულის მოსვლით თუ სიცილით. ბიჭები გაინაბენ. თითქო შეამჩნიეს რომ მათ წრეში სასაცილო და უშნო მექი კი არა, ვიღაც სხვა, უცნობი შემოსულა. ისინი დაიმორჩილა მექის ღონემ.

ხაჟომია გადადგა გვერდით.

— ჩხუბი გინდა!

— ჭიდაობა უნდა, ჭიდაობა.

მექიმ მოიხედა. ყვიროდა თალიკო.

— უჰ.—ამოითქვა სული. ამდენხანს წყალს მიჰქონდა და ეგ ორი სიტყვა ნაპირიდან გადმოწეული ტოტები იყო. ხელი მოავლო და შეისვენა.

— ჭიდაობა მინდა. გაიმეორა მან.

ხაჟომიამ ალმაცერად გადახედა და სწრაფად შეუტია.

———

ღონიერი, მაგრამ ჭიდაობაში გამოუცდელი მექი ხელის მიკარებისთანავე წამოაჩოქა ხაჟომიამ. უკან გადაგდება ვერ მოახერხა და გაშორდა. შემდეგ ოდნავ მოიხარა, გვერდულად მიუხლოვდა, სწრაფად გაიმართა და ხელები ზევით შეაგდო, თითქო დაწვდენ უნდა მექის კისერსო. მექიმ თავი დაიცვა და ხელები შეაგება, მაგრამ ხაჟომია იმ წამსვე ჩაიკეცა და წელში შეუვარდა, ასწია ზევით, ვეღარ გადაზნიქა და ხელი ჰკრა. მოტყუებული მექი დაბარბაცდა. ახლა კი მისი ჯერი დადგა ორივე ხელები, როგორც პირველად, წაავლო ქამარში ხაჟომიას, შარვლის სათავეც დაიტანა, იდაყვები ფერდებს მიაკრა, რომ მეტოქე წელში არ შეძრომოდა და მძიმეთ შეარყია. დაჭერილი ხაჟომია აწრიალდა, გვერდით გახტომა მოინდომა, მაგრამ ამაოდ. მექიმ უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელები.

ხაჟომია ხტის, წრიალებს, იკლაკნება, რყევისაგან თავბრუ ესხმება, მექის უპირატესობა ნათლად სჩანს. საკმაოა ერთი გვერდული, თუგინდ ერთი კვანტიც და გულამოვარდნილი ხაჟომია შოთი-პურივით გაეკვრება მიწას, მაგრამ მექიმ არ იცის ხერხები. როგორც ხეს, მისდგომია თავის მაღალ მეტოქეს და გულდასმით არყევს.

არავის არ შეეძლო წინასწარ ეთქვა, რით ან როგორ დაბოლოვდებოდა ეს ჭიდაობა. უცბად ხაჟომია ერთბაშად ჩაეკრა მექის და იმავე წუთში ერთმა მათგანმა მწარეთ დაიღრიალა. ეგ იყო მექი. გაბოროტებულმა ხაჟომიამ მხარზე უკბინა. არავის არ შეუნიშნავს ეს. მექის კი არც მაშინ და არც მის შემდეგ არ გაუმხელია თავისი წაქცევის მიზეზი. წაქცევის, ვამბობ მე, რადგან კბენა და მექის მიწაზე გაშხლართვა ერთი იყო. ტკივილით შეწუხებულმა ბიჭმა ცალი ხელი მოაცილა ხაჟომიას და ნაკბენზე მოისვა. ეგ იყო წამით, მაგრამ იმისათვის კი სავსებით საკმო, რომ განთავისუფლებულ ხაჟომიას გულშეწუხებული მექი კისრით გადმოეგდო მიწაზე.

ყველაფერი აირია. ბიჭები ახმაურდენ. აკოცინდენ. დასჭყივლეს და შემოეხვივნენ გამარჯვებულს.

———

მექის იმ ღამით არ დაუძინია. იწვა ჩალაზე და როცა მამლებმა მეორეთ იყივლეს, გაეხარდა. შვება იგრძნო—საცაა მესამეთაც იყივლებენ და გათენდებაო, მამლები კი დაუსრულებლად ყიოდენ. მგონი მეათეჯერაც იყივლეს, მაგრამ მაინც არ თენდებოდა.

მექი სწუხდა.

რატომღაც მოაგონდა დახუნდარა მეზობლავეს მიერ ნაამბობი ზღაპარი, დედაბრისა და მამლის შესახებ. მამალი თურმე უდროვოდ ყიოდა და ატყუებდა დედაბერს, ხან ადრე აყვდებდა ლოგინიდან, ხან კიდევ დააგვიანებდა ადგომას. დედაბერს მოუვიდა გული და დაჰკლა მამალი.

— ესენიც დასაკლავია—გაიფიქრა მექიმ და ყველა მამლები დახოცილათ წარმოიდგინა. შეკრთა და სმენათ გადაიქცა.

მამლები ყიოდენ. გაეხარდა, მათი ყივილი რაღაც უშიშრად და უვნებლად ხდიდა იმ სიმარტოვის გრძნობას და წყვდიადის იდუმალებას, რომელიც ირგვლივ ერტყა მას.

— მე რომ დედაბრის ადგილზე ვყოფილიყავ, მამალს არ დავკლავდი.

წაიჩურჩულა მან და შებრუნდა.

წამოვიდა წვიმა. მძიმე წვეთებმა ... ჩალაზე. თენდებოდა. მექის ეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

———

ეგ იყო სულ? რა არის აქ საინტერესო? რა საჭიროა ეს გაუთავებელი მრავალსიტყვაობა, იმის შესახებ, თუ ერთმა სოფლის ბიჭმა როგორ დასცა მეორე.

ნუ იქნებით სულ-წასული მკითხველო.

მე ვიცი, რომ ზოგიერთ თქვენგანს უყვარს წიგნებიდან იმ ადგილების გამოტოვება, სადაც არაა დიალოგები. მართალია აღწერილობითი ან გმირის ბიოგრაფიის მომენტები, ანელებენ ნაწარმოების დინამიკას, მაგრამ რა ვქნა, მექის არ ეხერხება ლაპარაკი. ძალიან მჭერმეტყველიც რომ იყოს, დიალოგი მაინც არ გამოვა. მოსაუბრეს ვერ იშოვის. მას იმდენი ხნით არავინ არ გამოელაპარაკება, რომ ერთი პატარა გვერდისათვის საყოფი დიალოგი მივიღოთ. მექის მთელი ცხოვრება, ე. ი. მისი ცხოვრების ის პატარა ნაწილი, რომელიც პირადათ მის განკარგულებაშია, ერთად-ერთი ოცნებით და რამდენიმე უხერხულ, ერთი თვალის მოვლებით თითქო ერთმანეთთან დაუკავშირებელ მოქმედებით ამოიწურება. მაშ მოითმინეთ, დაუჯერეთ სულწასულობის შესახებ ნათქვამ ანდაზას, მოითმინეთ რა მოხდა მეორე დღეს.

———

ნაწვიმარ დილას მხიარული ძახილით და ჭიკჭიკით მიეგებენ ფრინველები.

საწოლიდან საშინელი თავის ტკივილი ამყვა. უკანასკნელ ხანებში თითქმის ყოველ დილით დათენთვას ვგრძნობ. მუხლებს ახლად ფეხადგმულ ბავშივით ვერ ვიმორჩილებ და საკმარისია საწოლიდან სწრაფი მოძრაობით წამოვდგე, რომ თავბრუ დამესხეს და გული შემიღონდეს. ჩემი წყეული ავადმყოფობა აინუნშიაც არ აგდებს იმ გარემოებას, რომ მე მოუთავებელი მაქვს ერთი წლის წინედ დაწყებული რომანი. ნელი-ნელ აკეთებს თავის საქმეს. ერთი გვერდის დაწერასაც ვერ მოვასწრებ რომ უცებ ჩემს ოთახში გამოილევა ჰაერი. გამიძნელდება სუნთქვა და ჩემი რომანის გმირების ნაცვლად თვალწინ გამიჩნდება წამლის შუშები.

— ოცოცი წვეთი დღეში სამჯერ. ახ როგორ მძულს ეგ შუშები. ეგ პატარა კოლოფები, რეცეპტებით შემოხვეული. ისინი მე ყოველწამს მიმტკიცებენ და მარწმუნებენ, რომ არ შემიძლია წერა, მოლზე ფეხშიშველი გავლა და მხიარული რახრახით და ყირამალით მდინარეში გადავარდნა

მაშინ ვშორდები მაგიდას და გულდაწყვეტით, როგორც მატარებელზე დაგვიანებული, უბრუნდები ისევ ჩემს საწოლს.

დღეს დილით კი გადაწყვეტილი მქონდა მემუშავნა, რეცეპტები, ჭიქები, ყველაფერი, რაც კი მაგონდება რომ ჩემს ოთახში ავადმყოფი ცხოვრობს, გარეთ გავყარე და ფანჯარა გავაღე. მიწისა და გაზაფხულის სუნით გაჟღენთილი ნიავი ხარბათ, ერთბაშათ შევისუნთქე. დავფაცურდი, მაგიდა ფანჯარასთან მივაჩოჩე. ფანქარი გავთალე, ქაღალდები მოვიმზადე და წერა დავიწყე. ათასი ბრწყინვალე სახეები ირეოდა ჩემს თავში. მეგონა საკმარისი იყო ხელის განძრევა, რომ ისინი გაკოცხლებულიყვნენ ქაღალდზე, მაგრამ სიტყვები, სიტყვებს ვეღარ გადავაბი და ერთი წინადადების შედგენაც კი ისე გამიძნელდა, როგორც არასდროს. ვეძებდი, ვკრეფდი შესაფერ სიტყვებს და რამდენათაც მეტ ძალას ვატანდი ჩემს თავს, მით უფრო გამირბოდენ სიტყვები, იმალებოდენ, და ეკარგებოდათ თავისი მნიშვნელობა. სულ უბრალო, ჩემგან ათასჯერ ხმარებული და ჩვეულებრი-

კი სიტყვაც კი ვერ დავიმორჩილე. დაერღვა, დაეშალა სხეული და ის მეჩვენება რაღაც უაზრო ბგერად რომელიც წარმოიშვა ასოების უთავბოლოდ შეერთებით. ისევ ფანქარს დავუწყე გულდასმით თლა. თითქო მისი ბლაგვი წვერი იყო ჩემი უღონობის მიზეზი. გარინდებული ვიჯექი და როცა რამდენიმე წამის შემდეგ ქაღალდს დავხედე, უნებურათ შევკრთი.

— ორჯერ-ორი უდრის ოთხს. მთელი გვერდი ისე გამევსო ამ არითმეტიკული მაგალითით, რომ არც კი შემინიშნავს. საკვირველი ის იყო, რომ ყველა ციფრები ისე ზედმიწევნით გავდენ ერთმანეთს, რომ სხვა დროს ძალიანაც რომ მომენდომებია, ასე რიგათ ვერც კი მოვახერხებდი მათ შესრულებას. ამ წუთში ვიგრძენი რაღაც მაკლდა.

ამ ნაკლს ვერ შემივსებდა კარგათ წათლილი ფანქარი. ვერც ადგილის გამოცვლა, მეორე ოთახში ვიღაც დადის, აჭრიალებს იატაკს და ელაპარაკება დედას. ერთ წამში ვიფიქრე, ეს მიშლის უთუოდ ხელს მეთქი. შევაწყვეტინე, მაგრამ მაშინვე დავრწმუნდი რომ მეორე ოთახში გამეფებული სიჩუმე ვერ შეცვლიდა ჩემს მდგომარეობას. ორჯერ ორი უდრის ოთხს. ხაზავდა ერთი და იმავეს ჩემი ფანქარი და მთელი ჩემი გულისყური ეხლა იმას მივაქციე, რომ გამომერკვია თუ რა კავშირი ჰქონდა ჩემთან ამ ციფრებს. არ ვიცი რამდენი გაგრძელდებოდა ეს სულელური მდგომარეობა, რომ ჩემი ყურადღება მექის არ მიეპყრო.

---

მექი ერემოს ჭიშკართან იდგა. ეტყობოდა ვიღაცას ელოდა, მოუთმენლად ცმუტავდა და წამდაუწუმ სახლისკენ იხედებოდა: ალბათ გამოიპარა!—გავიფიქრე.

ერთბაშად ადგილიდან მოწყდა, შარა გზა გადაიარა; თვალი გავაკიდე და ეზოდან მომავალი ხაჟომია დავინახე. როცა მექი ეზოს მიუახლოვდა, სირბილი ძუნძულზე შესცვალა, შემდეგ ნაბიჯებზე გადავიდა, გაიარა ბოგირი და გაჩერდა.

ხაჟომიამ მექის დანახვაზე სულელურად გაიცინა და მისვლის უმალ უტიფრად მიაძახა:

— დაგიშვი თუ არა ყირამალა გუშინ!

გვერდი ჩაუხვია, მაგრამ მექი გადაუდგა წინ.

— დამეჭიდე.

სთქვა მან რაღაც საშინელი, მის წლებში მყოფ მოზარდისათვის სრულიად შეუფერებელი სიდინჯით და სიმკაცრით.

— ერთხელ ხომ დაგალავაშე. კიდო გინდა?!

— ჰო, კიდო.

მექიმ თვალები გაუსწორა და შეამჩნია, რომ მისმა თხოვნამ ხაჟომია ხუმრობის გუნებაზე დააყენა, ხმა დაურბილდა, დაუსველდა და დამნაშავესავით დახარა თავი.

— თუ ძმა ხარ... დამეჭიდე.

უდიდესი ვედრება გამოსჭვიოდა ამ სიტყვებში.

— რას ჩამაცივდი. გიჟი ხომ არ გიჭამია წუხელ!

— დედა უფრო გიყვარს თუ მამა. ორივეს გაფიცებ, დამეჭიდე. ყველაფერს შეგისრულებ. რაც ლორჯოს და კიბოს დავიჭერ, ყველას შენ მოგიტან. ბუდეებს გასწავლი, ტურის ხაფანგს გაგიკეთებ, ნუ გამაწბილებ!

— თუ არ მინდა. რას მეძალები!?

წასვლა დააპირა, აჩქარდა, ადუღდა.

— ნუ წახვალ, მოიცა.

უცხო ხმით დაიძახა, მოტრიალდა და შინისკენ გაჰქუსლა. ორიოდ წამში უკანვე დაბრუნდა და

— გუშინწინ დავიჭირე, ბოსტანში, შენი იყოს, ოღონ დამეჭიდე, ხელი მომკიდე უბიდან ყურებ დაცქვეტილი ტუჩებ ცმაცუნა თეთრი კურდღელი ამოაძვრინა.

— ხაჟომია ცოტა არ იყოს შეაფიქრა მექის დაჟინებამ, შეშინდა

— ისე იყურება რომ რაცხას მომწევს.

გაიფიქრა მან. მოტრიალდა და ეზოში შევარდა.

— დამეჭიდე... ე. დაიღრიალა მექიმ და უკან დაედევნა, ხაჟომია აივანზე გაჩერდა, მაგრამ როცა დაინახა ეზოში შემოსული და მისკენ სწრაფად მომავალი მექი, ოთახში შეიჭრა.

— ნუ გეშინია, არაფერს გიზამ გამოდი, დამენახე...

დაიძახა მექიმ. დამფრთხალ კურდღელს ძლივსღა იმაგრებდა ხელში. ხაჟომია ფანჯარას მოადგა, მექის სახე გაუკეთა, დაეღრიჯა და მიიმალა. ახლა კი მთლად გადაირია საწყალი ბიჭი.

— ნუ გეშინია, შენი ჭირიმე, თუ ძმახარ... გამოდი...

ყვიროდა მექი. იდგა. ელოდა, მაგრამ ხაჟომიას ჭაჭანებაც არ იყო.

შემდეგ დავინახე, როგორ ისკუპა კურდღელმა მიწაზე, თეთრმა ფაფუკმა ცხოველმა ერთხელ კიდევ გაიელვა მოლზე და მახლობელ ბუჩქებში შერგო თავი. მექის ეხლა ვერ ვხედავდი, ღობე მიშლიდა. სახლიდან გამოსულმა ხაჟომიას დედამ კი შეამჩნია, რომ მათ ეზოში, აივანთან გულაღმა ეგდო ვიღაც, საშინლად ცახცახებდა და პირზე დუჟი ადგა.

---

უწინ მექის ამჩნევდენ, როგორც ამჩნევენ ქუჩაში მიმავალ ძაღლს. არავინ არ კითხულობს ძაღლის სახელს, მის მშობლებს.

ამ ამბავის შემდეგ კი მექის სახელი ყოველი მოქალაქის ენაზე ჩამოჯდა. გაუკვირდათ, თითქო მექის თავისი თხუთმეტი წელი სადღაც ერთბაშად უშოვნია, ვინმესაგან მოუპარავსო. არავინ არ იცოდა, არავის არ ახსოვდა, ეს წლები რამდენი ცრემლით და წვალებით იყო შეგროვებული.

უხიდოს მოქალაქეებს არ შეეძლოთ გულგრილად შეხვედროდენ მექის საქციელს. ამიტომ აიღეს მექი, ჯერ სოფლის ყბაში ჩააგდეს და ჭორებით გარეცხეს; მერე ყველა სასწორებით აწონეს, ყველა არშინებით გაზომეს, მაგრამ არ იქნა და არ იქნა, ვერ მონახეს ისეთი რამ, რომელიც გაამართლებდა მექის საქციელს. მექი ვერ ჩაეტია სოფლის ყბაში გირების და არშინების რაოდენობა ჩვენს სოფელში ძალიან განსაზღვრული იყო. ამიტომ მისი ვერც ნამდვილი წონა გაიგეს, ვერც ნამდვილი ზომა. ბნედიანია, გიჟია, ჭკუა-ნაკლებია, იძახოდენ და ღელავდენ სოფელ უხიდოს ჭკვიანი და პატიოსანი მოქალაქეები.

ვიღამაც სთქვა.

— დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.

გამონახეს დედაც, მამაცა და ერთბაშად დამშვიდდენ, თითქო დარწმუნდენ რომ ასეთ მშობლებს მართლაც და არ შეიძლებოდა რომ უკეთესი შვილი დარჩენოდა მიწის ზემოთ.

— კურდღელიც რომ გოუშვია!

— რას უნოფ?!

— კი ბატონო, კი, ნამდვილად დამთხვეული ყოფილა! თვალებშიდაც რომ ისე იბზიოება.

— ჯერ სიარული გოუშინჯე, როგორი აქვს!

— ხრიკუნაო რომ იტყვიან, ზედ მაგაზე ყოფილა გამოჭრილი.

დაასკვნა ვიღამაც.

ეს სიტყვა ეუცხოვათ, ვერ გაიგეს მისი მნიშვნელობა, მაგრამ როცა დაინახეს რომ სიტყვა „ხრიკუნა“ ყველაზე მდიდარ და მაშასადამე ყველაზე ჭკუიან კაცის, ბარნაბა საგანელიძის პირიდან ამოვიდა, ყველამ იგრძნო, ყველასათვის ნათელი გახდა რომ მექისთანა თვალების, სიარულის, შუბლისა და ბეჭების პატრონს სახელად აუცილებლად ხრიკუნა უნდა რქმეოდა.

ამ დღიდან მექიმ სამუდამოდ დაჰკარგა თავისი სახელი, ის სახელი, რომლის დაძახება ერთხელაც კი არ ეღირსა დედამისს, ისე ამოხდა სული.

— შენი ჭირი მიმაქვს ბიჭუნია,—წაიჩურჩულა დედამისმა, როცა მის ფეხებთან პირველად დაიკივლა ახლად დაბადებულმა მექიმ. დედა წამოიწია, ხელები ჰაერში შეაპოტინა, თითქოს შვილი უნდა ჩაიკრასო, მაგრამ ულონოთ ჩამოუვარდა და მეორეთ აღარ აუწევია.

დედამ დანაპირი ვერ შეასრულა. მექის ჭირი ვერ წაიღო. უბედობისაგან ვერ დაიხსნა, ხრიკუნა.

იცით რას ნიშნავს ჩვენს სოფელში ზედმეტი სახელი?

ის მისამართია, რომელზედაც ყველას შეუძლია უშნო ოხუნჯობა, დამცინავ ღიმილის და დამამცირებელ შაირის გაგზავნა.

ის საფრთხობელაა, რომლითაც გაკაპასებული დედები მტირალა ბავშებს აჩერებენ!

— აგერ ხრიკუნია მოდის და ყურებს მოგჭრისო.

ის ერთად ერთი გახუმეორებელი სახეა, რომელთან შედარება ყველაზე დიდი შეურაცყოფათ ითვლება,—რავა ხრიკუნიასავით ირჯებიო.

როცა სოფელმა ლაპარაკით და მითქმა-მოთქმით გული მოიჯერა, მექი როგორც გამოუსადეგარი ნივთი, ჩააგდეს დავიწყების მტვერიან ყუთში. თუ ვინმე ჩაიხედავდა შიგ, მხოლოდ მისთვის, რომ რამდენიმე დამცინავი სიტყვა და გულის მომკვლელი ოხუნჯობა დაეხარჯა.

მექიც გაურბოდა ყველას. არ ეკარებოდა ტოლებს და რაღაც ჩუმი, ცხოველური სევდა ულრღნიდა გულს. მექი გრძნობდა რომ მას დასცინოდენ, არა იმისათვის, რომ მტრად მოეკიდა ამხანაგს, შესჯავრდა მეზობელს, აწყენინა ვინმეს, არამედ მას თვლიდენ ისეთ არსებათ რომელმაც ადამიანის სახე რაღაც შემთხვევის წყალობით მიიღო. მას უყურებდენ როგორც ორფეხზე შემდგარ უცნაურ მოწყობილებას და არავის არ ახსოვდა მისი თვალების გამომეტყველება და თმის ფერი; არას დროს არ შეუმჩნევიათ მის სახეზე რამე ცვლილება: სოფლელების წარმოდგენაში მექი თანდათან გამოვიდა თავის სხეულიდან, დაჰკარგა ფორმები და წარმოიდგინეთ, ისიც კი ვერ შეამჩნიეს, რომ მექი გაიზარდა, დავაჟკაცდა, ეხლა ოცდა ორი წლისაა და შეუძლია ბორახთან, ტლაფში ჩავარდნილი დატვირთული ურემი ბეჭით ასწიოს.

უხიდოს მოქალაქეებს ბუნებრივად მიაჩნდათ მექისადმი ასეთი დამოკიდებულება, რომელიმე მათგანისათვის რომ გეკითხათ, მექის, რატომ ამცირებთ, ის გაიკვირვებდა ისეთი გულწრფელობით, რომ თქვენ ბოდიშის მოხდაც კი დაგჭირდებოდათ:—ამ პატიოსან ადამიანს ცილი დავწამეო.

ყველაზე მეტად მექი ერემოს სახლში იყო დავიწყებული. „ხაზეინი“ ყოველდღე ხედავდა მექის, ყოველწუთში ავალებდა საქმეს, ამუშავებდა, დაარბენინებდა იქეთ-აქეთ, მაგრამ რომ გეკითხათ მისთვის, რამდენი სულია თქვენს ოჯახშიო მექი ყოველთვის გამორჩებოდა სათვალავში.

უნდა ითქვას რომ ერემოს წინასწარ განზრახვით არ მოსდიოდა ეგ.

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე.**

# ქ ე დ ე ლ ე ბ ი

სოფ. წითელი წყაროს მიდამოებს გასცილდებით თუ არა, თქვენს თვალწინ გადაიშლება ხალიჩასავით გაშლილი პურის და ქერის ნათესებით დაფარული თვალუწვდენელი მინდორი. გაივლით ათეულ ვერსებს და ვერ შეხვდებით ვერც ერთ სოფელს.

ამ გაშლილ ველზე, აღმოსავლეთით, ცოტად ამაღლებულ ადგილზე, მოსჩანს „საქართველოს ნავთის“ სამუშაოები, სადაც გაისმის მანქანების გრიალი და დედამიწის გულში ეშვება გრძელი მილები.

მინდვრის ბოლოს შორს ჰორიზონტზე მოსჩანს მუდამ თოვლიანი დაღესტნის მთები, ამ ველის დასასრული ამაღლებულ ადგილით თავდება, რომელიც ისე გეჩვენებათ, თითქოს თოვლიან მთის კალთებზე იყოს მიკრული. ამ ამაღლებულ ადგილზე მოსჩანს სიგრძეზე გაშლილი სოფელი—აი, აქ იმყოფება ამიერ-კავკასიაში ყველაზე უკეთესად მოწყობილი და ძლიერი—ზემოქედის მამია ორახელაშვილის სახელობის—კომუნა. ამ კომუნაში შეერთებულია 184 კომლი გლეხი.

ტარა ორსართულიანი სახლის წინ და ერთხმად ჩაჰკმიდა ხმა... ქალები უცბად გადმოვიდნენ და აემართენ კიბეზე, საიდანაც რამოდენიმე წუთის შემდეგ „პაწაწინკებით“ ხელში ძირს ეშვებიან და მზრუნველობით ეალერსებიან. ამ პატარა სახლში მათ აქვთ საბავშვო ბაღა.

უეცრად ისმის ზარის ხმა, ყველანი მიეშურებიან საერთო სასადილოსაკენ და 3 წუთის შემდეგ 800 ქალი, კაცი და ბავშვი შეექცევიან ვახშამს.

ვზივარ მაგიდასთან და ამ სანახაობის მაყურებელი ვერ ვაზერხებ ჭამას.—სრული სიმშვიდე, ერთსულოვნება, აი რას ამოიკითხავთ მათი ჯანმრთელი და მხიარული სახეებიდან?

ღამით კომუნარებმა სასტუმრო ოთახში მოგვასვენეს. მოუთმენლად ველი გათენებას, რომ ქედელების ცხოვრებას და საქმიანობას გავეცნო.

გათენდა. დილის მზის სხივები ათამაშდა შირაქის გაშლილ ველზე, წითლად შეღება ქედელების საცხოვრებელი ბინები და კოშკებივით ამართული უზარმაზარი თივის ზვინები.

დება, ცოტანი დარჩნენ ურჩებ[illegible] ხანში ეგენიც ჩაებმიან ჩვენს საერთო ფერსულში.

ქედელ კომუნარების 856 სულს ჰყავს თავის გამგეობა 5 კაცის შემადგენლობით. ამათგან 2 სოჯამაგიოე, 3 ღარიბი გლეხი, კანდიდატებათ არიან 4 ქალი.

მუშა-ხელის რაოდენობა უდრის 190-ს. აქედან 8 კ. პ. (ბ) წევრია, 38 ა.ლ.კ.კ., 21 მოჯამაგირე, 94 საშუალო გლეხი და 4 მოსამსახურე. კომუნას აქვს სახნავი მიწა 669 ჰექტარი, რომელიც მთლიანად დამუშავებულია, გარდა 249 ჰექტარისა, რომელიც სათიბს უჭირავს. 420 ჰექტარ მიწაზე სთესია: 300 ჰექტ. პური, 80 ჰექტარი ქერი, 163 ჰექტარი მზესუმზირას მცენარე, 63 ჰექტარი სიმინდი, 61 ჰექტარი ფეტვი, 8 ჰექტარი კართოფილი; 10 ჰექტარი ლობიო; 6 ჰექტარი საზამთრო, 2 ჰექტარი ნესვი, 1 ჰექტარი პამიდორი, 1 ჰექტარი ჭარხალი, 1 ჰექტარიც მწვანილეულობას უჭირავს, 5 ჰექტარი ხეხილი, 65 ჰექტარზე ამერიკული ჯიშის ნამყენი ვაზი.



კომუნარი სათიბ მანქანასთან



კომუნართა ტრაქტორების კოლონა

მიჰქრიან ჩვენი მარდი ცხენები გაშლილ შირაქის ველზე, მაგრამ ქედამდე მიღწევას ვერ ვეღირსეთ. კარგა ხნის შემდეგ ვამჩნევ, რომ ის გორაკი, რომელიც შორიდან დაღესტნის მთების კალთებზე გაკრული მოსჩანდა, თითქოს დაბლა იწევა და ისე შევდივართ სოფელში; დაღესტნის თოვლიანმა მთებმაც თით ქოს ადგილი გადაინაცვლეს.

სოფელში შესვლისას წინ გვხვდება გამგეობის წევრი.

— კობა ჩოხელი *) აქ არის?—ვეკითხები მე.

— თბილისშია წასული კომუნის საქმეებზე, მიპასუხებს წევრი.

საღამო დროა. მზე გომბორის მთის წვერებს ამოეფარა და უკანასკნელი სხივები მიახათა ქედელების ბინებს...

კომუნარები მინდვრიდან შინ ბრუნდებიან. თან მოჰყავთ „ფურგონით“ მუშა ქალები. მათი სიმღერა და ჟივილ-ხივილი ძლივს მოისმის ტრაქტორების გრიალში.

— გავათავეთ, გავათავეთ თიბვა ყველა მინდვრებში... ერთხმად იძახიან და ცეცხლივით მოელვარე თვალებით იცქირებიან „ფურგონებიდან“. ტრაქტორი მოგორდა პა-

ჩემს წინ წამოჭიმულია განიერი ქვის ორსართულიანი შენობა—აქ კომუნარების საერთო საცხოვრებელია.

ამ სახლის წინ ლამაზი ფარდულია, რომელშიაც მწკრივად აწყვია სასოფლო-სამეურნეო მანქანები

გაისმა ზარის ხმა, რომელსაც ბანი მისცა კომუნართა „რკინის ხარებმა“, მას მოჰყვა სალეწი მანქანის გრიალი და ხე-ტყის სახერხი მოტორის ხმა...

აფუსფუსდა 800 ქალი, კაცი და ბავშვი. დაირღვა წყნარი დილის სიჩუმე—მიგრიალებენ ტრაქტორები მინდვრად, რომლებსაც თან მიჰყავთ 190 მუშა ხელი, ჩვენი სასტუმრო ოთახის ახლოს სწრაფად გაჩნდა ერთი ტრაქტორი თავისი გუშინდელი ფურგონით, რომელიც ეხლა სავსეა ბავშვებიანი დედებით. ბაგის გამგემ სწრაფად მიიღო მათი ბავშვები, ტანსაცმელი გაახდო, ჩააცვა ბაგის სუფთა თეთრეული და 30 ბავში ჟივილ-ხივილით შეცვინდნენ ბაგაში.

კომუნარების გვერდით პატარა ფიცრული სახლი სდგას. იქ მცხოვრები გლეხი კომუნაში არ შესულა; ვხედავ, როგორ ზანტად მოიზლაზნებიან გამხდარი ცხენები და საცოდავათ მოათრევენ ძველებურ ურმებს.

ამ სურათმა იმდენად დამაფიქრა, რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ გაჩნდა ჩემს გვერდით კომუნის გამგეობის წევრი შაქრო, რომელიც მიმხვდარა ჩემს დამაფიქრებელ საკითხს და ერთბაშად შემომძახა—მალე ეგეც ჩვენი გახ-

გასულ წელს კონტრაქტაცია იყო დადებული 2.500 ფუთ ხორბალზე, კომუნარებმა კ[illegible] კონტრაქტაციის გარეშე ჩააბარეს 16.800 ფუ[illegible]თი კომუნის სასოფლო-სამეურნეო ინვენტ[illegible]რია: 3 ტრაქტორი, 1 ლოკომობილი, 4 მისაბ[illegible]მელი გუთანი, 2 სათესი მანქანა, 5 სამკალ[illegible] მანქანა, 3 სალეწი, 2 ხორბლის დამხარისხებ[illegible]ლი და სხვ....

კომუნარებს ჰყავთ: 118 მუშა საქონელ[illegible] აქედან 30 ცხენია. 100 ღორი, 35 მერინოს[illegible] ყოჩი, 4.000-მდე ცხვარი, 354 აზატი და მე[illegible]ველი საქონელი და 189 სკა ფუტკარი.

კომუნას აქვს: 1 მოტორიანი წისქვილ[illegible] ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ზეთის სახდელ[illegible] მანქანა, 20 ურემი და 4 „ფურგონი“.

მათ საცხოვრებელ შენობათა ღირებულებ[illegible] უდრის 16.7[illegible] მან. სასოფლო-სამეურნეო დ[illegible]ნიშნულების შენობათა ღირებულება კი 4.000 მან.

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ღირებულება 33.631 მან. სატრანსპორტო ინვენტარ[illegible] ღირებულება უდრის 87.285 მან. მუშა-საქო[illegible]ლის ღირებულება — 12.700 მან. პრ[illegible]დუქტიული საქონლის ღირებულება კი 10.020 მან. კომუნის განუყოფელი თანხა უ[illegible]რის 13.300 მან. 1930 წლისათვის ხარჯ[illegible]აღრიცხვის მიხედვით კომუნარებმა უნდა [illegible] ხარჯონ მშენებლობაზე 188.955 მან.

გასულ წელს ჯანსახკომმა გაუხსნა საბ[illegible]შო ბაგა 30 ბავშვისათვის მოთხოვნილება [illegible]

*) კობა ჩოხელი კომუნის ხელმძღვანელია. მთელ კახეთის ოლქში იგი ცნობილია „მთიელ კობას“ იგივე „კოფას“ სახელით, რომელმაც 1926 წელს 18 კომლი გლეხობისაგან პირველად დაარსა ქედელთა კომუნა.

არის 80 ბავშვი, რისთვისაც ცდილობენ მომავალ წლისათვის თავიანთი საშუალებით მაინც მიიყვანონ ამ რიცხვამდე.

მოზრდილ ბავშვებისათვის კომუნარებს აქვს საბავშვო ბაღი.

17 მოსწავლე კომუნარი სწავლობს კომუნის ხარჯზე ქ. სიღნაღში.

კომუნაში არ არის არც ერთი სკოლის ჰასაკის ბავშვი სკოლის გარეშე.

მოწყობილია წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა, სადაც წერა-კითხვის უცოდინარი გლეხები მეცადინეობენ თავისუფალ დროს.

ქედელ კომუნარებს თავიანთ დიად მუშაობაში ბევრი რამ უშლის ხელს. მათი დიდი კომუნა აუცილებლად საჭიროებს საექიმო პუნქტს მით უმეტეს, რომ მთელს შირაქის რაიონში არ არის არც ერთი ექიმი. კბილის ექიმი და ბებია ქალი თუმცა არის წითელწყაროში (ქედიდან 35 ვერსზეა) საექიმო პუნქტი ერთი ექიმით, ერთი თანაშემწით და 1 ბებია ქალით, მაგრამ ისინიც მხოლოდ ადგილობრივ გლეხებს ემსახურებიან და ავადმყოფის დასაწოლი ადგილი არა აქვთ. ქედელ კომუნარებს კი სულ პატარა ავადმყოფობისათვის, ან თუნდაც, კბილის საექიმოდ უხდებათ წასვლა ქ. სიღნაღში (80 ვერსით დაშორებულია კომუნიდან).

ქედელ კომუნარებს წყალი არა აქვთ, წყალს ეზიდებიან მდ. ალაზნიდან შვიდი ვერსის დაშორებით.

კომუნარებს არ ჰყოფნის 3 ტრაქტორი, რისთვისაც მათ თავის დროზე მიმართეს მემინდვრეობათა კავშირს, მაგრამ ეს საკითხი დღემდე უყურადღებოდაა დარჩენილი.

ზემო ქედიდან სადგურ წნორამდე 70 ვერსია. კომუნარებს ყოველდღე უხდებათ იქ ჩასვლა პროდუქტების ჩასატანად და საჭირო საქონლის, ან იარაღ-მანქანების ამოსატანად, რისთვისაც მათ მემინდვრეობათა კავშირს სთხოვეს საბარგო ან ნახევრად საბარგო ავტომობილი, მემინდვრეობათა კავშირმა ესეც უყურადღებოდ დასტოვა. კომუნარებს არ ყოფნის სახნავი მიწა, მით უმეტეს იმ დროს, როდესაც მათ შემოიერთეს 53 კომლი უმიწაწყლო მთიელები.

ეთხოვა მიწა მემინდვრეობათა კავშირს, მანამდე კი სოფლის კავშირს, მაგრამ ესეც უყურადღებოდ დარჩა, ბოლოს ოლქის მემინდვრეობათა კავშირის განყოფილების სიტყვიერი მოლაპარაკებით მათ მოხნეს 220 ჰექტარი მიწა, რომელსაც დღეს ართმევს კომუნარებს მიწსახკომი.

ქედელებს არაა აქვთ სამკითხველო, კლუბი, ან სხვა გასართობი. აქ სრულიად არ სწარმოებს ამ საკითხზე მუშაობა. კომუნის გამგეობამაც უნდა მიიღოს ზომები. აქვსთ რადიო და არ ჰყავთ რადიო-ტეხნიკოსი, ამიტომ იგი უქმად გდია.

თუმცა ეს კომუნა დღესაც პირველ რიგში სდგას, მაგრამ ამით არ უნდა გათამამდენ კომუნარები. მათ კიდევ ბევრი უნდა შეიძინონ. არც ერთი წუთით არ უნდა შეანელონ მუშაობა და ერთიან ძალით უნდა დასძლიონ ყოველგვარი დაბრკოლება. ქედელების გამარჯვება მთელი საქართველოს გლეხების გამარჯვება იქნება. მათ მაგალითს თვალყურს ადევნებს აუარებელი გლეხობა.

**შ. ფურცხვანიძე.**

# საბჭოთა აღმშენებლობა



ქვაბულას მომზადება „აზნეფსტროი"-ს კრევინგ-ქარხნის მშენებლობაზე ბათომში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნების საკავშირო შემოწმება

## პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე



კულტურის და დასვენების პარკში 18 ივნისს მოხდა ოლიმპიადაზე მონაწილეთა შეხვედრა მოსკოვის მუშებთან. მიტინგზე გამოვიდნენ: ამხ. ენუქიძე, ფ. კონი და ნაციონალური თეატრების წარმომადგენლები.

15 ივლისს მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა რესპუბლიკის პირველი საკავშირო ოლიმპიადა. პირველი შემთხვევაა ისტორიაში, რომ თექვსმეტი ეროვნება თავის საუკეთესო თეატრალურს და მუსიკალურს კოლექტივებს აგზავნიან, რათა საძირკველი ჩაუყარონ გეგმიანს და სოციალისტურ შეჯიბრებას, გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება, ერთმანეთი შეისწავლონ პროლეტარულ ხელოვნების მეთოდების შესამუშავებლად.

ოლიმპიადა შეიკრიბა სწორედ იმ დროს, როცა გაიხსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობა და აქ მოხდება ნამდვილი ანგარიშის ჩაბარება ბოლშევიკურ პარტიის წინაშე ხელოვანთაგან.

განა შეიძლება არსებობდეს სხვა უფრო ნათელი და ურყევი საბუთი ლენინურ სწორხაზიანობისა ნაციონალურ საკითხის გადაჭრაში და კერძოდ, ნაციონალურ კულტურულ განვითარებაში, ვიდრე არის მოსკოვში შეკრებილი დღევანდელი ოლიმპიადა?

იმ დროს, როდესაც გაზეთის ფურცლებზე ყოველდღე ვკითხულობთ ცნობებს ნაციონალურ პრობლემების „გადაწყვეტის“ შესახებ კაპიტალისტების მიერ ტანკებით, ყუმბარებით და „ცეცხლით და მახვილით“, რის გამო მიწის პირიდან იგვება მთელი სოფლები და ქალაქები, განა ცხადს არ ჰყოფს იმ უფსკრულს, რომელიც არსებობს იმპერიალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებ შორის ეს ერთად თავის მოყრა ამდენ ეროვნების წარმომადგენლებისა?

რამდენად წინ წავსულვართ ჩვენს კულტურულ განვითარებაში! რამდენ მოულოდნელ პერსპექტივებს შლის ეს ოლიმპიადა! ნუ თუ ვინმემ იცოდა ოლიმპიადამდე, რომ საქართველოს თეატრი ისეთივე ყურადღებას იმსახურებდა, როგორსაც იმსახურებდა მსოფლიოში განთქმული რაინჰარდტის და მეიერხოლდის თეატრები და, რომ რუსთაველის თეატრი აწყამად წარმოადგენს მსოფლიო თეატრს?

ამის დამტკიცებას ოლიმპიადამდე ვერვინ შესძლებდა! ეხლა კი, ოლიმპიადაზე ნახვის შემდეგ, საკითხი რუსთაველის სახელობის პირველი აკადემიური ქართული თეატრის შესახებ, მთელი თავისი სიცხადით გადაწყვეტილია.

იშვიათმა ნიჭმა და შესაძლებლობამ, რომელიც დაგროვდა მთიან ქვეყნის ცხოვრებაში მრავალ საუკუნოების მანძილზე, ქართველი მსახიობი აქცია მიუბაძველი სისწორივეში და მოძრაობის გრაციებში.

ამას მიუმატეთ სამხრეთის ტემპერამენტი, დამუშავებული უმაღლეს ტეხნიკით საბჭოთა თეატრის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოვებული რეჟისორი სანდრო ახმეტელი, ჩვენ მივიღებთ თეატრალურ კულტურას, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი მიღწევები, მაგრამ დღესვე შეიძლება გვერდში ამოუყენოთ მსოფლიო თეატრების მიღწევებს.

**ა. გლებოვი.**



სურათებზე: ამხ. ენუქიძე ესაუბრება რეჟ. ახმეტელს. ინგლისელ ჟურნალისტ ქალის ლუიზა შტრონგის მისალმება რუსთაველის თეატრისადმი.



ვაჟა-ფშაველა, ნახ. ჯაფარიძის.
გარდაცვალებიდან 15 წ. შესრულების გამო.

# ვაჟა-ფშაველა

1916 წლის გაზაფხულზე უკანასკნელად ჩამოვიდა ვაჟა-ფშაველა თბილისში და აღარც დაბრუნებულა უკან, თავის საყვარელ მთაში.

ვაჟამ საერთოდ წელიწადში ორჯერ იცოდა მთიდან ბარად ჩამოსვლა. ერთი ახალ წლის წინა დღეებში და მეორეც აღდგომის დასაწყისში.

მისი ამ ორ ვადაზე ჩამოსვლა ყველას ასე ჰქონდა მიღებული: ვაჟამ უთუოდ ახალი პოემა და ლექსები ჩამოიტანაო.

ეს ასეც ხდებოდა აუცილებლად. ხელცარიელი არას დროს ჩამოვიდოდა. უთუოდ ახალი პოემით უნდა გაეხარებინა მკითხველი საზოგადოება. მისი ასეთი მოლოდინი თითქმის დაკანონებული იყო. იმ ჟამად ჩამოიტანა რამე თუ არა ეს აღარ მახსოვს. კი არა მგონია ისე ჩამოსულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა თავის ჯავარზე აღარ იყო. მუდმივმა სილარიბემ და ხელმოკლეობამ მართალია გვიან, მაგრამ მაინც გასტეხა ეს ბრგე, ჯანღონით სავსე და სულით ამაყი ადამიანი.

არც ბინა ჰქონდა რიგიანი თავის სოფელ ჩარგალში. ცხოვრობდა თითქმის ბნელსა და ნესტიან ოთახში და ამან შეუწყო ხელი მის ნელნელა, შეუმჩნევლად დაავადებას. ვაჟას ჯანსაღი აგებულება ასე ადვილად ვერ შეამჩნევდა სხეულში ჩუმად, ფარულად შემავალ ავადმყოფობას—ჩუმ ციებას.

უფრო ოთახის სიბნელე იყო მიზეზი, რომ უკანასკნელად თბილისში ჩამოსვლისას შეუკვეთა დურგალს ხის ოთხმეტშიანი საშუალო ზომის ფანჯარა. „თუ მიშველის, სწორედ ეს ფანჯარა მიშველისო“—იტყოდა ხოლმე ვაჟა. ავალ თუ არა გამოვანგრევ ოთახის კედელს, ჩავსვამ შიგ ფანჯარას და ეხლა მაინც იდენს ჩემს ბინაში მზის სითბო და შუქიო.

ფანჯარა კი მართლაც გააკეთებინა და გაგზავნა ჩარგალში, მაგრამ თვითონ ვეღარ მიჰყვა უკან. ის სამუდამოდ გამოეთხოვა თბილისშივე სიცოცხლეს ქართულ გიმნაზიის საავადმყოფოს კედლებ შორის და სამუდამოდ დარჩა დიდუბეში ქართველ მწერალთა პანთეონის სავანეში.

ოთახის სიბნელესთან ერთად, როგორც მისი შვილი ვახტანგი იტყვის ხოლმე, ხშირად არც ნავთი და სანთელი ჰქონია თურმე. მთაში ამაების მარაგი უნდა ჰქონოდა კაცს, მაგრამ ვაჟას ეს უთუოდ ან დაუდევრობით ან შორი მანძილის გამოისობით მოსდიოდა.

ხშირად დამანთებინებდა ცეცხლსო, ამბობს ვახტანგი და როცა გაძლიერდებოდა ცეცხლის ალსა და შუქზე სწერდა ხოლმეო.

როგორც ზემოდა ვსთქვი, ვაჟა 1916 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა თბილისში. მიიარამოიარა, ნახა ნაცნობ-მეგობრები, დაიარა რედაქციები და შემდეგ წავიდა გორში თავის შვილის ლევანის ქორწილში. ქორწილის გათავების შემდეგ ეწვია თავის ძმას თედო რაზიკაშვილს სოფ. ხელთუბანში. ხელთუბანსა და გორში ვაჟამ თითქმის ერთ თვემდე დაჰყო.

თბილისში დაბრუნებისას ცოტა უგემურად გრძნობდა თავს და თან და თან დაიწყო ზერე-ქვერე ავადმყოფობა, სისუსტეს უჩიოდა. შეიძლება გაცივდა მოგზაურობაში. არ უნდოდა ჩვენებოდა ექიმებს, მაგრამ ნაცნობ-მეგობრებმა აიძულეს და გაესინჯა მკურნალებს. კონსილიუმის შემდეგ, გადასწყვიტეს ექიმებმა ვაჟა დაეწვინათ ვერაზე, ქართულ გიმნაზიის საავადმყოფოში, სადაც უფრო მეტი და კარგი ჰაერიც იყო. ჯერ მოათავსეს საერთო პალატაში და შემდეგ კი, როცა შეაწუხა ზაფხულის სიცხემ და დასუსტდა, გადაიყვანეს ცალკე განსაკუთრებულ ოთახში.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დღე მორიგეობით და ხან ერთად სინჯავდნენ, და თვალყურს ადევნებდნენ ექიმები და სცდილობდნენ ვაჟას ფეხზე დაყენებას, ის მაინც უძლურდებოდა და უკან - უკან მიდიოდა.

მთის ცივ წყაროებსა და სუფთა ჰაერს მიჩვეული ადამიანი თბილისის სიცხე-პაპანაქებას ვერ უძლებდა და სული ეხუთებოდა. სულ

მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

იმას გაიძახოდა: „თქვენ თქვენი გამჩენი, გამიშვით მთაში და ნახავთ ერთი კვირის შემდეგ, რომ ისევ ის ვაჟა ვიქნებით, როგორიც ვიყავით“. მაგრამ ექიმები ამას არ ჰხედავდნენ საჭიროდ და შესაძლებლად, მეტადრე სპ. ვირსალაძე. ჯერ წამლობა ბოლომდე მივიყვანოთ და მერე გავგზავნოთ მთაშიო. რასაკვირველია ეს სიკეთით მოსდიოდათ და არა სიბოროტით.

როცა ვაჟას უკეთესობის მაგიერ უარესობა დაეტყო, მაშინ გადასწყვიტეს გაეგზავნათ სურამში კაცი ოთახის დასაჭერად და კიდევაც გაგზავნეს, მაგრამ კაცი რომ ამ დილით წავიდა სურამში, მეორე დღის 4 საათზე ვაჟა უკვე ალა იყო.

ისე გამოესალმა ვაჟა სიცოცხლეს, რომ არავის არაფერი არ გაუგია. ძმა, სანდრო რაზიკაშვილი, რომელიც თბილისში მსახურობდა გიმნაზიიდან ორ ნაბიჯზე სცხოვრობდა, იმასაც კი ვერ შეატყობინეს ძმის ვერც შეწუხება და ვერც სიკვდილის პირზე მიდგომა.

ერთი საათით ადრე კი სრულ გონებაზე მყოფ ვაჟას ეთქვა: „კოიკი მიაბრუნეთ და პირი მამა დავითის მთისაკენ მიყავითო, რომ მთას უცქიროვო“.

შემდეგ მოეთხოვა მწვანე ბალახი და ხის ფოთლები გაეშლევინებინა ძირს და ზედ დაწოლილიყო. ბალახსა და ფოთლებს თურმე გარშემო იბურავდა და ყნოსავდა.

ვაჟა-ფშაველას ამაყსა და ძლიერ სულს სიკვდილისა არაფერი სჯეროდა. იმდენად უშიშარი და გაუტეხავი იყო.

„მე ჩემი კარგად გახდომის ნიშანი მაქვსო. როცა ჩემი ბარომეტრი თავს აიწევს მეც იმ წუთში წამოვდგები და მთისაკენ მოვქუსლამო“.

სიკვდილის წინა დღით ძალიან მთხოვა, რომ დაგვექირავა მე და სანდროს ავტომობილი, მეც თან გავყოლოდი და მიმეცილებინა ფასანაურამდის. — „იქიდან ჩარგალამდე სხვა რამით ავალო“. ავტომობილი ჩარგალამდე ვერ ავიდოდა უგზოობის გამო.

ავადმყოფობის დროს ვაჟა ხშირად იტყოდა: ნეტავი ისე არ მოვკვდე, რომ ომის ბოლო არ გავიგოვო. მე კი ვიცი როგორც დაბოლოვდებაო, მაგრამ მაინც მინდა ჩემი თვალით ვნახოვო. რას ფიქრობდა და რა იცოდა ამის შესახებ არავის არაფერს ეუბნებოდა და ისე მოკვდა, რომ არც უთქვამს.

მე და სანდრო, ძმა ვაჟასი, ერთად მივდიოდით ხოლმე სანახავად. ვაჟამ ხანდისხან იცოდა ხოლმე კაცთან „იჩემის“ თქმის ლაპარაკი, ერთ დღეს სანდროს უთხრა: „ალექსანდრე პავლოვიჩ, შენ და შიო ილარიონიჩმა მამადავითის ეკლესიასთან კლდეში რომ წყარო გამოდის უნდა ჩამომიტანოთო. კლდიდან ნაჟური წყალი მაინც სულ სხვა არისო და რომ დავლევ მთას თვალწინ დამიყენებსო“.

სულ მთისაკენ მიუწევდა გული, ფიქრი და გონება სულ იქითკენ ჰქონდა. ბარად ჩამოსვლა ხილად უყვარდა.

შევასრულეთ ვაჟას თხოვნა. მეორე დღეს გამოვართვით მოზრდილი შტოფი ვიქტორ მკერვალიშვილს წყაროს ჩამოსატანად და იქიდან კი არ ჩამოვიტანეთ, სადაც მიგვითითა, არამედ მოსკოვის ქუჩის მაღლა მდებარე კლდიდან, ის უფრო გვირჩიეს, როგორც სუფთა და უფრო გემოწმინდა წყალი.

ა, ყოჩაღ, ბიჭებო, გიშველათ ქიშმიშელამა! ძლივს ჩემი გემოს წყალი არ დავლიე. ხომ არ დაიღალეთ მთაზე ასვლით. გვითხრა და გადაგვიხადა მადლობა.

ვაჟასთან სხვა ნაცნობებიც დაიარებოდნენ. ერთხელ მეჩექმე იოსებ მაწვიაშვილმა (გარსევანიშვილმა) პატარა კოჭბით შინ გაკეთებული, ტკბილად შეზავებული შვინდის შექამანდი მოუტანა, სიცხიან გულზე იამა და დიდი მადლობა გადუხადა.

ვიდრე საავადმყოფოში დაწვებოდა, შინ, თავის ძმასთან, ილებდა ხოლმე წამლებს. რალაც წამლის შესაკვეთად შევედით ვარლამ ახვლედიანის აფთიაქში. ბარათი კი გამოსწერა ვარლამმა, ხოლო ფულის გამორთმევა არ მოინდომა. თქვენისთანა იშვიათ ხალხს ფულს როგორ გამოვართმევო.

— გლახაობას ნუ შემაჩვევთ. როცა მაქვს ფული მუქთად რად უნდა წავიღოვო. უთხრა და ამაყად გადაუფრიალა სამ მანეთიანი. ის უფრო საწყენი იქნება ჩემთვის რომ არ აიღოო.

პურის ჭამაში ვაჟამ ხანდახან ქილიკი სიტყვების გადაგდება იცოდა ხოლმე. ღვარძლიანი კი არ იყო, ისე უბრალოდ, კუდმოსაწვავად თუ იტყოდა.

ერთ ზაფხულს მუშტაიდიდან ახლოს „ალაზნის ველის“ ბაღში წავიდნენ სავახშმოდ ვაჟა, ბაჩანა, (ძმა ვაჟასი), მასწავლებელი თუში ვახო ბუქურაული, ლევო ცისკარაშვილი და სხვები.

ბაღის შუაში განიერი რუ ჩამოუდიოდა. ბაჩანა მიუხედავად თავის სიჯმუხისა ძალიან ფიცხი და მარდი კაცი იყო. გული სულ მუდამ ერჩოდა. მოინდომა ამ რუზე გადახტომა. გადგა შორს და სთქვა: ალაზანზე გადავმხტარვარ (თურმე მთაში ზოგან ისე ვიწროდ მოდის ალაზანი, რომ კაცს ადვილად შეუძლიან ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადახტომა) და აქ რა დამემართება, რომ ვერ გადავხტეო. თქმა და გაქანება ერთი იყო, მაგრამ მეორე ნაპირამდის ვერ უწია და შიგ ჩავარდა. რასაკვირველია გაიწუწა. შუა ვახშამზე ვაჟამ უთხრა: ბაჩანო, გიხდება შუაღამისას ალაზანში თევზის ჭერაო!?

რატომღაც ევდოშვილს ქვრივიშვილს ეძახდა. ქოსების პადვალში პურსა ვჭამდით. როცა წამოვიშალენით ევდოშვილი ეცა ვაჟას საჭიდაოდ. ქეიფის შემდეგ ირადიონს უყვარდა ხოლმე ძარღვების გაშლა, ძალ-ღონის გამოცდა.

— ქვრივიშვილო, ე მინდ თავი დამანებე თორემ შავ მელას დაიჭერო, ხვლიკივით გაგასრიალებო, უთხრა ვაჟამ და მოერიდა, მაგრამ ევდოშვილი მაინც არ მიეშვა და კიდევ ეცა.

ევდოშვილისა და ვაჟას ღონის შედარებაც კი არ შეიძლებოდა, ისეთი ღონიერი იყო ვაჟა. გორის საოსტატო სემინარიაში რო სწავლობდა კრივში ჩასვლისას ყველა ერიდებოდა მის ღონივრად მოქნეულ მუშტს. ძალიან უყვარდა კრივი და სულ დაჩაგრული უბნის მხრიდან ჩადიოდა ხოლმე. ქვემოთა უბანი ითვლებოდა დაჩაგრულ მხარედ.

რაკი აღარ მოეშვა ირადიონი ვაჟას, მაინც უკისრულა და იმ გრძელ პადვალში ძალიან შორს გაარითო პირქვე.

ევდოშვილი კვლავ ეცა, მაგრამ ვაჟამ აღარ გაიმეტა.

ირადიონს ძალაუნებურად მოუხდა, მეორედ რომ ეცა, ვაჟას ჩოხის კალთის ჩამოხევა.

მეორე დღეს ვაჟამ ახალი ჩოხა იყიდა და ევდოშვილს ასე უთხრა: შარი ხეირად მექცა, თუ არ შენ, მე ჩოხას ვერ გავიახლებდიო. ალბად შენც მალარიჩის იმედი გქონდა და მიტომაც ქორივით მეტანებოდიო.

ვაჟა კარგად თამაშობდა ბილიარდსაც. როგორც ტყვიას არ აცდენდა ნიშანს, ისე ბილიარდის ბურთს დანიშნულ ორმოს. ვაჟა კარგ და მარჯვე მონადირედ ითვლებოდა.

ერთხელ ისა და მისი მეგობარი დიმიტრი მღებრიშვილი შევიდნენ საბილიარდოში სათამაშოდ.

ჯერ ბუფეტზე უნდა გაეარათ და მერე ისე უნდა შესულიყვნენ საბილიარდოში.

ვაჟას ეჭირა შინ გათლილი კოხტა და ხელმარჯვე ჯოხი, რომელიც დახლიდარს მიაბარა შესვლისას.

თამაში ვაჟას გამარჯვებით დამთავრდა. წაგებმა და მოგებმა ერთად ივახშმეს. გამოსვლისას ვაჟამ ჯოხი მოითხოვა, მაგრამ რაკი უბრალოდ ეცვა დახლიდარმა გაუტრიზავა: **რის ჯოხი, რა ჯოხი, ვის დაჰკარგიხარო.** როგორც სჩანს დახლიდარს ჯოხი მოსწონებოდა.

რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ მოთმინებიდან გამოსულმა ვაჟამ რომ ჩაავლო ხელი საყელოში ისე ღონივრად გადმოიყვანა შიგნით მდგომი დახლიდარი, რომ მთელი ბუფეტი თან წამოაღებინა და ზედ იატაკზე გაშალა.

ჯოხი მალე გამოჩნდა და ვაჟამ „კნიაზის“ საყელოც კი დაიმსახურა, მაგრამ ეს არ შეიფერა.

— რა გრჯოდა, ცხვარივით კაცი რაზე გამაცეცხლე და შენსა ბუფეტის ცოდოში რაზე ჩამაყენეო. ჯერ ძვალი უნდა გაგეზომა და მერე ისე უნდა ჩაგეყლაპაო.

ვაჟა მოთმინე და აუჩქარებელი კაციც იყო. ძნელად მოუვიდოდა გული. ვაჟა ახალგაზრდობაში და შემდეგაც სახამ ციმბირის ქარი გაუფუჭებდა თვალს მშვენიერი შეხედულობის ვაჟკაცი იყო. ტანი ჩასხმული, განიერი მხარბეჭი და წინ წამოდგმული გულ-მკერდი მართლაც რომ ამშვენებდნენ ვაჟას.

წერა-კითხვის საზოგადოებიდან სახლში მომავალ ვაჟას თავის გახუნებულ ნაბდით მოუხდა კონკაში ჩაჯდომა. მაშინ ტრამვაის ხსენებაც კი არ იყო ჩვენში.

ერთ-ერთ შესაჩერებელ ადგილზე ვიღაც კოპწია ქალი გაჩერებულიყო კონკაში ჩასაჯდომად, მხოლოდ ალაგი კი არც ერთ სკამზე არ იყო. რაკი კონდუქტორსაც თვალი შეუთამაშდა ლამაზი ქალის დანახვაზე არც აცია, არც აცხელა და უბრძანა ვაჟას ჩამოსვლა, რუსულად.

ვაჟამ ვითომ ვერც კი გაიგონა, ყურადღება არ მიაქცია. მეორედ კიდევ გაუმეორა და მესამედ რომ შეტევით უთხრა ну, сойди болван! ვაჟამაც არც აცია, არც აცხელა და თავხედ კონდუქტორს ისეთი უთავაზა ხელუკუღმა ყბაში, რომ კონდუქტორი მოწყვეტით და ძლოთხმით გაიშალა ძირაზე თავისი ბილეთებ-კასიანად.

როცა მოვიდა წესრიგის დამცველი და მოისმინა დალაგებულის რუსულით ახსნა-განმარტება, ეს ამოდენა კონკაში მსხდომი ხალხი გაკვირდა ასე უბრალო ტანისამოსში გამოწყობილი კაცის პასუხით და ყველამ უმოწმა, რომ კონდუქტორი სტყუოდა.

ვაჟას არ უყვარდა ბევრი და მეტი ლაპარაკი. ძუნწელობდა მოკლედ. არ შესდგამდა თავის ქებას და გაზვიადებას. ცხვირი არასდროს არ აუწევია და არ გაბერილა. ვაჟა სულ უბრალო კაცი იყო. მხოლოდ თუ ვინმე ცუდად და უხეშად მოექცეოდა და მოუნდომებდა დამცირებას, სამაგიეროს გადახდას შორისათვის არ გადადებდა, მაშინვე გასცემდა პასუხს, როგორც შეეფერებოდა და ეკადრებოდა.

ერთ დღეს ვაჟასთან სანახავად რომ შევედით მე და სანდრო, იქ დაგვხვდა ჩვენი ახალგაზრდა მგოსანი სანდრო შანშიაშვილი (იმ დროს რედაქტორად იყო გაზეთ „საქართველოსი“). მას თან მოეყვანა მხატვარი ვლ. სიდამონ-ერისთავი და ვაჟას პორტრეტს ახატვინებდა. შემდეგ ეს პორტრეტი კიდევაც დაიბეჭდა გაზეთის დამატებაში.

ვაჟა შანშიაშვილს ნაყოფიერ მწერლადა სთვლიდა და ძალიანაც უყვარდა, და თითქოს მაშინ ახალგაზრდა პოეტს უკვე დამჯდარი და დამთავრებული პოეტი გამოცდას აჭერინებდა და მუდამ კამათი ჰქონდათ უცხოეთის მწერლებზე. იმ დროს დიდს მოდაში იყო ნიცშე თავის „ზეკაცით“ და ვაჟა ეუბნებოდა შანშიაშვილს: „ხერხემალ გამოფიტული ევროპიელი ფილოსოფოსი, შენი ნიცშე, ჩვეულებრივი ნაცარქექიაა. აზვიადებს ყველაფერს, რაც თვითონ არ მოეპოვებაო“.

ახალგაზრდა მწერლებში სანდრო შანშიაშვილს უფრო დიდ ყურადღებას აქცევდა და ამიტომაც იყო, რომ როცა კი ვაჟა თბილისში ჩამოვიდოდა მოიკითხავდა სანდროს და გვეტყოდა მომიყვანეთ ჩემი ქიზიყელი პოეტი— ჯარდანქეშანიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტალინის სახელობის ქარხანაში. მუშა დაზგასთან

დემიან ბედნი

## ნუგეშის მცემელი

მამა იპატეს არვინ ჰყავს ფარდი,
ხერხიანია, საქმეში მარდი.
საქმე აროდეს არ უფუჭდება,
კოჭს თუ ააგდებს, ალჩუ უჯდება.
აი თუნდ იმ დღეს:
მამა იპატეს
ქვრივი ეწვია, არა სტუმრადა,—
თავის ცოდვების მოსანანადა.
—„ვაი ჩემ თავსა!"—ქვრივი სჩიოდა
და თვალებიდან ცრემლი სცვიოდა.
—მიხსენ, მამაო, ვარ მე ცოდვილი...
გაზაფხულს აქეთ აღარ მაქვს ძილი,
სიზმარში ვხედავ უბედურს ქმარსა,
როგორც ცოცხალსა და არა მკვდარსა.
დილით რომ ვდგები, ვერ ვახელ
თვალებს,
ცოდვილს, მცხვენია, შევხედო
ხატებს...
სირცხვილით ვიწვი, ვერ ვბედავ
თქმასა,
რაც მე წუხელის გადამხდა თავსა:
რა მეშველება, ნეტავ ვიცოდე,
წყეულმა, ქმართან... ძილში შევცოდე!
—„არა!.. ნუ მეტყვი!"—გაოცდა
მღვდელი,
ამა ამბისა გამგონ-მსმენელი:
—და ეგ სულ მოგდის, ვგონებ იმის-
თვის,
რომ ბევრსა ნაღვლობ იმ შენი ქმრის-
თვის.
წინ ვერ წაუხვალ ბედის წერასა,
ნაღვლით ვერ უშველ შენს თავს ვე-
რასა.
თავი ანებე ნაღვლსა და დარდსა,
სჯობს, რომ დაადგე ისევ სხვა გზასა...
ეხლა კი აი ამ შანას მოგცემ,
შინ რომ მიხვიდე, მიიბი ტანზე.
მერე მე თითონ, საღამოს ჟამზე,
შემოვალ შენთან და ნუგეშსა გცემ.

—:—

გთხოვ, ნუ დასძრახავთ, დარდში მყოფ
ქვრივსა,
და ნურვინ იტყვის იმაზე ძვირსა...
და რაც გინდ ძლიერ ქვრივი და-
დობდეს,
ხუცი ეცდება, დარდს გაუქარვებს
(თითქოს პირველად ეს უხდებოდეს!)
და ქვრივს გაართობს, ქვრივს ანუგე-
შებს.

# იალაღებისაკენ



მწყემსები იალაღზე.

ზაფხულია. სიცხე. ბალახი ხმება.
უძლებელი ხდება დაბლობ ადგილე-
ში ცხოვრება. საქონლის საკვები არ
რის — ყველაფერი გახმა. საჭიროა
ელი ოჯახი, საჭირო მოწყობილო-
ით და საქონლით, მთაში წავიდეს. წა
იდეს იქ, სადაც მზე ასეთი შემაწუ-
ხებელი არ არის და სადაც ამწვანე-
ული საბალახოები დააკმაყოფილებენ
ულ ათას სულ საქონელს.

მთელს ამიერ-კავკასიაში ზაფხულის
აწყებისთანავე მომთაბარეობა იწყე-
ა. ზევით, იალაღებისაკენ „მთის უდა-
ნოში“ მიისწრაფვიან მომთაბარენი.
ქ საბალახოებზე გატარებენ ისინი ზა-
ფხულის ოთხ ცხელ თვეს მოწყვეტი-
ლნი დასახლებულ პუნქტებს და თავის
ოფლებს.

მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიის
თავრობა დიდ დახმარებას გაუწევს
მომთაბარეებს. იმ ადგილებში, სადაც
ტი მომთაბარენი იყრიან თავს, ეწყო-
ა წითელი ქოხები, იალაღებზე ეწყო-
ა საბავშო მოედნები, მოძრავი ბიბლი-
ოთეკები; შლება დედობისა და ბავ-
შობის დაცვის საქმე.

ქიზიყელები უკვე დაიძრენ იალაღე-
ბისაკენ. მთიანი თუშეთის, ახალციხის, გორ.ის, ახალქალაქის და თბილისის რაიონის იალაღებზე თავს მოიყრიან ათეული ათასი მომთაბარენი. საჭიროა ყველა მათ გაეწიოს კულტურულ-ყოფაცხოვრებითი სამსახური, უნდა გამოირკვეს მათი გაჭირვება, საჭიროა დახმარება.

საქ. ჯანსახკომი უკვე შეუდგა მომთაბარეთათვის საექიმო დახმარების გაწევის გეგმის განხორციელებას: სოფ. წნორში, ბადიაურში, და ზემო-დასახლებულ რაიონებში მოწყობილია საიზოლიაციო -გამტარებელი პუნქტები, სადაც მომთაბარენი გადიან საექიმო შემოწმებას, ხოლო საქონელი — ვეტერინარულს.

მასწავლებლებისაგან მოეწყო ნებაყოფლობითი რაზმები. ეს რაზმები გაემგზავრებიან იალაღებზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩასატარებლად მომთაბარეთა შორის. მათთან ერთად იალაღებზე მიემგზავრება რამდენიმე მოძრავი კინო.

რათა მომთაბარენი ჩაებენ პროფკავშირულ მუშაობაში, ამ მიზნით სას. სამ. მუშების პროფკავშირი იალაღებზე ხსნის რამდენიმე ათეულ მუშათა კომიტეტებს. მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიიზიდონ ამ მუშაობაში მწყემსები და მოჯამაგირეები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლის საბჭოებთან, გლეხკომებთან და კოოპერაციასთან ღარიბ-მოჯამაგირეთა ჯგუფების შექმნას.

რესპუბლიკანური ჯანსახკომები მთელი სეზონის განმავლობაში ჩაატარებენ მომთაბარეთა შორის სათანადო მუშაობას. მომთაბარეთა შორის ჩატარდება ზოოტეხნიკური ღონისძიებების პოპულიარიზაცია, მოეწყობა გამოფენები, ლექციები, აგრო-საუბრები, ჯილდო მიეცემა საუკეთესო მწარმოებლებს და სხვ.

იშლება ყველის სახარშების ქსელი იმგვარად, რომ თვითეულმა მათგანმა სავსებით ამოსწუროს თავისი რაიონის მოთხოვნილება. კიდევ მრავალი ღონისძიებები ჩატარდება, რომლებიც ძირიანად შესცვლიან მომთაბარეთა მდგომარეობას. ცხადია ერთი რამ — სახელდობრ ის, რომ მიმდინარე წლიდან მომთაბარენი იწყებენ ახალ ცხოვრებას, იალაღები გარდაიქმნება, იალაღებზე მოწესრიგდება კულტურული ცხოვრება.

**ედ. შმერლინგი.**



ცხვრის კრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩაი



საკონტროლო ციფრების მიხედვით მომავალ წელს ჩაის ახალი პლანტაციები 10 ათას ჰექტარზე უნდა გაშენდეს. აქედან: საბჭოთა მეურნეობაში—4 ათასი ჰექტარი, კოლმეურნეობებში—5 ათასი ჰექტარი და ინდივიდუალურ მეურნეობებში—1000 ჰექტარი. ამ სივრცის დასათესად საჭირო იქნება 500 ათასი კილოგრამი თესლი. ეს მაშინ, თუ საკმაო იქნება ადგილობრივი სათესლე მასალა, რომლის 50 კილოგრამი 1 ჰექტარს სთესავს. უცხოეთიდან მოტანილი თესლი, როგორც უკვე გამორკვეულია, მარტო 50 პროც. ამოდის. ამიტომ უცხოეთის თესლი საჭირო იქნება ასი კილოგრამის რაოდენობით თვითეულ ჰექტარზე. ადგილობრივ დამზადებული იქნება 300 ათასი კილოგრამი თესლი. ცეილონიდან შემოვიტანთ 120 ათას კილოგრამს, ხოლო იაპონიიდან 280 ათას კილოგრამს. პრაქტიკამ უკვე დაამტკიცა, რომ ადგილობრივი სათესლე მასალა გაცილებით უკეთესია შემოზიდულზე და ამ მასალის დამზადების წახალისების მიზნით „საქართველოს ჩაი"-მ კილოგრამ მასალის დასამზადებელი ფასი ერთი მანეთიდან ერთ მანეთ და 25 კაპეიკამდე გაადიდა.

ჩაის პლანტაციების წარმატებით გაშენების ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ჩაის ჯიშების მტკიცედ დაცვა. ამიტომ სათესლე მასალის განაწილება უნდა ჩატარდეს დიდი დასვირვებით. ერთ რაიონში რამოდენიმე ჯიშის თესლი არ უნდა მოხვდეს.

# საბჭოთა კავშირის პოლიარული საგანძური

## „საშინელი მხარე"

ჩრდილოეთის სიგანედის 66,5 გრადუსის ყინულოვანი პარალელი, რომელიც „მეშვიდე კარები" ხალხურ ზღაპარში, ფარავს უხილავ სამყაროს ...ოცხელი განძეულობით. ციფრები ...ნავ შეეხენ ამ სამყაროს ნაწილს. ...ლო ის, რაც დამარხულია გაყინულ ...ლმულებში, ჯერ არავის აღურიცხავს და არც ცდილან აღერიცხათ.

საბჭოთა კავშირის პოლიარული ჩრდილოეთი დღემდე შეუსწავლელია. ...სთანავე, იმ მცირე ცნობებითაც, ...მლებიც მოიპოვება, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მხარის აუარებელ სიმდიდრეზე. სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს მხარე საგანძურს წარმოადგენს.

## ...უნებრივი ელექტროცენტრალი

მართალია, ძოლიუსის იქით წელიწადის განსაზღვრულ დროში დგება ...მძელი „ას დღე-ღამიანი" ღამეები, მაგრამ ამ ღამეში პოლიარული მხარე ...ა ნაკლებ არის განათებული, ვიდრე ...მილიმე ევროპიული ქალაქის დიდი ...ჩები. ღამის სინათლეზე თავისუფლად შეიძლება გაზეთის კითხვა.

პოლიარული ღამე **ელექტროფიკა...აქმნილია.** თვით პოლიუსი როგორც ...მლავრი გენერატორი, მთელ არქტიკას უფასოდ აძლევს სინათლის ენერგიას.

## ...ბილი.. სამოცგრადუსიანი ყინვები.

მართალია ისიც, რომ ამ მრავალდღეღამიან ღამეებში აქ იცის ჩვენთვის ...აუგონარი ყინვები — 50-60 გრადუსი ...ელსიუსით. პოლიარული ყინვები ვერცხლის წყალს მაგარ ლითონად აქცევს და ბუჩქები და ტოტები ოდნავი ...არტყმისაგან შუშასავით იმსხვრევა. ...დგილობრივი მხეცი, უკეთეს შემთხვევაში, თავის ბუნაგში იმალება. მაგრამ ...ოლიარული ყინვები ადვილი გადასატანია. იქ რბილი ყინვა იცის. აბსოლუტურად სუფთა ჰაერი, ჰავას მხოლოდ ...ციებს და არა ჰყინავს. რბილჰავიან ...დგილებში კი პირიქით ხდება.

## მინდვრის საქონელი ყინულებზე

პოლიარულ ჩრდილოეთის ძირითადი ცოცხალი სიმდიდრეა ირმები. ისინი საუკეთესო ხარისხის ხორცს იძლევიან, რომელმაც უკანასკნელ დროს საექსპორტო მნიშვნელობა მიიღო. ამჟამად პოლიარულ წრეს იქით ორ მილიონამდე ირემი ითვლება, რაც ომის წინადროინდელ რაოდენობას აღწევს. მაგრამ ეს ციფრი ჩვენი მეირმეობის ჩამორჩენილობაზე ლაპარაკობს, რომლის განვითარებასაც ხელს უშლის ეპიდემიები და სხვ.

სათანადო ზომების მიღების შემდეგ პოლიარული ქვეყნები 20 მილიონ ირემს გამოჰკვებავს. უკვე მიმდინარე ხუთწლედში საბჭოთა არქტიკაში ირმის ჯოგები 5 მილიონ სულამდე იქნება აყვანილი.

ჩრდილოეთის ექსპედიციების მონაწილენი არა ერთხელ შეხვედრიან აქ აკლიმატიზაციაქმნილ ძროხებს. შორს, პოლიარულ წრეს იქით შეხვდებით ცხენებსაც,

## დასილოსებული ფრინველი

გარდა ირმებისა ყველა ამ ცხოველებს, ჯერ-ჯერობით მესაქონლეობაში არავითარი ხვედრითი წონა არა აქვთ. ეს—მომავლის სიმდიდრეა. გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს გარეულ ფრინველს. გარეული ბატები და იხვები ისეთი რაოდენობით არიან პოლიარულ წრეს იქით, რომ მცხოვრებლები მათ საჰაერო ბადეებით იჭერენ. საინტერესოა, სხვათა შორის, დაკლული ფრინველის შენახვის წესი. ის გვაგონებს დასილოსებას. დასილოსებული ფრინველი მომავალ შემოდგომამდე ისეთივე ახალი რჩება, როგორც დაკვლის პირველ დღეს, მხოლოდ კანი ოდნავ შავდება.

## ოქრო ჰაერში

ძარტო გარეული ბატები არ არის ფრინველების მასიური სახე. არა ნაკლები რაოდენობითაა აგრეთვე გარეული იხვი. იხვს შეხვდებით აუარებელი რაოდენობით ყინულოვან ოკეანედან ბერინგის სრუტემდე და მურმანსკამდე. მაგრამ განადგურების გამო მათი რიცხვი თანდათან მცირდება. განსაკუთრებული ადგილი იხვის ჯიშში **გაგას** უკავია. ამ ფრინველში ყველაზე ძვირფასია არა ხორცი, არამედ ბუმბული. ცნობილი გაგას ბუმბული მსოფლიო ბაზარზე ყინულოვან ნაპირების „თბილ ოქროდ" ითვლება. გაგას ბუმბული ძვირფასია არა ის, რომელიც მას ტანზე აქვს, არამედ ის, რომელთაც ის აგებს თავის ბუდეს.

სწორედ რომ დავაყენოთ გაგას ბუმბულის შეგროვების საქმე, ჩვენ შევძლებთ მილიონი მანეთის ბუმბულის დამზადებას, რომელზედაც მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე აუარებელია.

## ამინდის სახელოსნო

უდიდესი პოტენციონალური სიმდიდრეა დაფარული თვით პოლიარულ ჰაერში. აქ კეთდება ამინდი მიწადმოქმედების ჩრდილოეთ და საშაულო სიგანედებისათვის. აქ რომ საკმაო რაოდენობის მეტეოროლოგიური სადგურები იყოს, მაშინ შესაძლებელი იქნება ამინდის წინასწარი განსაზღვრა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის. ისლანდიის და გრანლანდიის მეტეოროლოგიურმა სადგურებმა სწორედ ასეთი შესაძლებლობა მისცეს ინგლისის მიწადმოქმედებას.

## კლიმატიური სადგური დედამიწის მწვერვალზე

უმტვერო და უმიკრობო ჰაერი, რომელსაც მზე ჰკვებავს ულტრაიისფერ და სხვა ცხოველმყოფელი სხივებით, საუკეთესო ადგილია კლიმატიური სადგურებისათვის. არავითარი აბასთუმანი და სხვა კლიმატიური კურორტები ვერ შეედრება პოლიარულ ჰაერს.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ტუბერკულიოზით დაავადებული, რომელსაც გამოჯანსაღების იმედი დაკარგული ჰქონდა, სავსებით განკურნებულა ამ ჰაერის წყალობით. საჭიროა ჯანსახკომმა თავის ხუთწლედში შეიტანოს კლიმატიური სადგურების აგება ამ მხარეში.

**ბ—ლი.**



შულავერი, მიაქვთ ბამბა ქარხანაში.



შულავერი, ბამბის შეგროვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურა და სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალ მიღწევათა დემონსტრაცია

### პროვინცია ეჯიბრება დედა-ქალაქს

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ფიზკულტურის ფრონტზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქალაქთაშორისო შეჯიბრებები ფეხბურთში და ცილობა მძლეოსნობაში საქართველოს პირველობაზე.

ფეხბურთელთა გუნდებიდან თბილისში გამოდიოდა ჭიათურის სამთამადნო მუშათა გუნდი და ფოთის „დინამო“. ჭიათურელ მემაღაროეებს შეჯიბრება ჰქონდათ კომუნალური მუშაკებთან, ხოლო ფოთელებს სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის გუნდთან და თბილისის „დინამო“-ს პირველ გუნდთან.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ფეხბურთი საკმაოდ წინ წასულა პროვინციაში. ზემოაღნიშნული ორი გუნდის მაგალითი ამტკიცებს, რომ პროვინციას, რომელსაც არ აქვს საშუალება მოიწვიოს პირველხარისხოვანი გუნდები და მათთან შეჯიბრებით გა-



ბადროს ტყორცნა

იუმჯობესოს თამაშის კლასი, მაინც მნიშვნელოვან შედეგებისათვის მიუღწევია.

ავიღოთ, კერძოდ ჭიათურის გუნდი, ეს სრულებით ახალგაზრდა გუნდია, მას შეჯიბრება მოუხდა თბილისის კომუნალური მუშაკების გუნდთან, რომელიც პირველი კატეგორიის გუნდებშია ჩარიცხული. შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურელებისათვის ეს შეჯიბრება საკმაოდ ძნელი გამოცდა იყო, მაგრამ გამოცდა მათ სასახელოდ დაიჭირეს. შეჯიბრება დამთავრდა 3:3. მაგრამ აქ მნიშვნელობა აქვს არა იმდენად მატჩის საბოლოო შედეგს, რამდენადაც თვით თამაშის [illegible] და ტექნიკას. ამ მხრივ ჩვენი სტუმრები (ზოგიერთის გამოკლებით) არამც თუ არ ჩამოუვარდებოდნენ თბილისელებს, არამედ სჯობნიდნენ კიდეც მათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდამსხმელთა ცენტრალური სამეულის შეთანხმებული თამაში. გუნდის შემადგენლობაში არიან, რასაკვირველია, სუსტი მოთამაშეებიც (გარე-მარბენი), მაგრამ ხანგრძლივი ვარჯიშობით ეს ნაკლი ამოვსებული იქნება.

სიამოვნებით აღვნიშნავთ აგრეთვე ფოთის „დინამო“-ს წარმატებას. ეს გუნდი უკანასკნელად თბილისში იყო 1928 წელს, მას შემდეგ გუნდი საგრძნობლად დაწინაურებულა. ამას მოწმობს თუ გინდ ის ბრწყინვალე გამარჯვება, რომელსაც მიაღწიეს ფოთელებმა სარემონტო ქარხნის გუნდთან შეჯიბრებაში (5:0). გუნდში ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია ის, რომ ყველა ერთნაირად კარგად თამაშობს, ყველა მოთამაშეები შეწყობილი არიან ერთმანეთთან. მართალია მეორე შეჯიბრება თბილისის „დინამო“-სთან ფოთელებმა წააგეს (0:2), მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თბილისის „დინამო“ უძლიერესი გუნდია მთელ ამიერ-კავკასიაში, უნდა დავასკვნათ, რომ ფოთის გუნდის მიერ მიღწეული შედეგი მხოლოდ მის წარმატებას მოწმობს.

ფოთის გუნდი თბილისში გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: მეკარე — ქოიავა, მცველები—ხათიანი და გვალია, შუალები



ხტომა სიმაღლეზე ჭოკით

—ელენტი, ლაითაძე და ჭითინავა, თავდამსხმელები—მიქაძე, გუნია, სიროპინასი, კალიშავა და ელიავა.

—:—

ყოველ ზაფხულს, როდესაც სამხრეთის მზე მაგრად დააცხუნებს თბილისს და შეუძლებელი ხდება ფეხბურთის თამაში, ჩვენი მოთამაშეები მიემგზავრებიან ხოლმე ჩრდილოეთის ქალაქებს, სადაც ამ დროს კლიმატიური პირობები უფრო ხელსაყრელია სპორტის ამ დარგისათვის.

წელს საგასტროლოდ გაემგზავრენ მელი-



ქალთა რბენის ფინიში

თონეები. 9 ივლისს მელითონეთა გუნდი, რომელმაც „ისკრა“ რამდენიმე მოთამაშე ტრანსპორტელებისაგან, გაემგზავრა ნიკოლაევში, სადაც ის მიწვეულია ორი შეჯიბრებისათვის. ნიკოლაევს გარდა მელითონეები შეჯიბრებებს ჩაატარებენ უკრაინის და რუსეთის სხვა ქალაქებშიც,

გუნდის შემადგენლობაში შედიან: დ. ცომაია, ნიკოლაიშვილი, რამიშვილი, გონელი, ზაიცევი, სიხარულიძე, ორლოვი, მესხი, იამშჩიკოვი. კლოტცი და სამოვი. სათადარიგო მოთამაშეები: მაჩაბელი, ზელოვენკო და სუშკოვი.

თბილისმა დასავლეთისკენაც გაგზავნა გასტროლიორები. სოხუმში გაემგზავრა ტრანსპორტელთა ნაკრები გუნდი, რომელშიაც შედიან მოთამაშეები ტრანსპორტელების პირველ და მეორე გუნდებიდან. გუნდი შედარებით სუსტი მოთამაშეებისაგან არის შედგენილი და ამიტომ მოსალოდნელია, რომ სოხუმელები სათანადოთ „გაუმასპინძლდებიან“ მას.

### შვიდი ახალი ზეღწევი

2—3 ივლისს თბილისში ჩატარდა ცილობა მძლეოსნობაში საქართველოს პირველობაზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, ბათომის, ფოთის და სოხუმის მძლეოსნებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო პირველობა აიღო თბილისმა, თუმცა ესტაფეტში 4×100 მეტრზე თბილისმა მარცხი განიცადა: თბილისელი მარბენალი წაიქცა და ესტაფეტა ვერ დაამთავრა, ესტაფეტაში გაიმარჯვა სოხუმმა.

ეს ცილობა საინტერესო იყო იმით, რომ შეჯიბრების ორივე დღის განმავლობაში დამყარებული იქნა ამიერ-კავკასიის 7 ახალი ზეღწევი, რაც მოწმობს ჩვენი მძლეოსნების შეუწყვეტელ ზრდას.



ქალთა რბენის სტარტი.

საზარიერო რბენაში დიაჩკოვმა (თბილისი) დაამყარა ამიერ-კავკასიის ახალი ზეღწევი (17 წ. 7 წ.); მანვე ახალი ზეღწევი დაამყარა ხტომაში ჭოკით. პირველი გადახტომისთანავე ის გადახტა 3 მეტრზე 43 სანტ.

ქალთა შეჯიბრებაში მაიერმა 26 მეტრის 62,5 სანტ. მანძილზე ჰტყორცნა ბადრო, ეს შედეგი მხოლოდ ნახევარი სანტიმეტრით ნაკლებია საკავ. ზეღწევაზე, კარგი შედეგებით დამთავრდა ქალების რბენა 200 მეტრზე; ზალდასტანიშვილმა—29,4 წ. და როხლინამ—30,3 წამში. ყველა ეს შედეგები უკეთესია ამიერ-კავკასიის ზეღწევზე.

### ჭიდაობა

ამას წინად ცირკის შენობაში ჩატარდა ამხანაგური შეჯიბრება ჭიდაობაში თბილისის და ერევნის მოჭიდავეებს შორის. გამარჯვებული გამოვიდნენ თბილისელი ფიზკულტურნიკები.

ქართული ჭიდაობის დაპყრობა დაიწყო იმით, რომ ამ დარგიდან განიდევნა პროფესიონალიზმი. ქართულმა ჭიდაობამ გზა გაიკვლია მუშა-ფიზკულტურნიკების მასისაკენ, დღეს უკვე ფიზკულტურის საბჭო ატარებს მონაწილეობას იღებს 80-დე კაცი. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არ არის არც ერთი პროფესიონალური, ყველა კავშირის წევრებია. საერთოდ, პირველობის გათამაშება სწარმოებს პროფკავშირებს შორის. ყველა ცილობას ქართულ ჭიდაობაში, რომელშიაც მოჭიდავეები დაყოფილი არიან კატეგორიებათ. პირველობის გათამაშება ხდება ქოლობრივი სისტემით. მონაწილეთა სიმრავლის გამო შეჯიბრება გასტანს, ალბად, შემდგომამდე.

—:—

3 ივლისს ჩატარდა ფიზკულტურის საკავშირო დღე. საქართველოში ეს დღე აღინიშნა ფიზკულტურული ორგანიზაციების მთელი რიგი საზეიმო სხდომებით და ფიზკულტურნიკების გამოსვლებით, ამ დღის და წინა თვეებში წარმოებულ აგიტაციის შედეგად ინტერესი ფიზკულტურისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა მშრომელთა ფართო მასებს შორის. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მთელი კულტურული მუშაობა ფიზკულტურნიკთა შორის ამჟამად თავმოყრილია ერთ ადგილას—ფიზკულტურის კლუბში.

ლანდა.

# ფოტო-ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა













1) ბრძოლა გერმანიის ფაშისტების წინააღმდეგ

გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობით ლიუსტგარტენში მოხდა მრავალათასიან უმუშევართა დემონსტრაცია. დემონსტრანტებს თავს დაესხა ფაშისტების პოლიცია, რომელმაც გამოიწვია პროვოკაციული შეტაკება, სადაც დაიჭრა ერთი მუშა.

სურათზე: სანიტარებს დაჭრილი მუშა საავადმყოფოში მიყავთ.

2) ატლანტაში (ამერიკაში) დააპატიმრეს ორი კომკავშირელი ქალი: მარია დელტონი, 20 წლის და ანნა ბურლოკ, 19 წლის, რომელთაც ბრალდებოდათ აჯანყების მოწყობა. სასამართლომ თავდების ქვეშ ისინი არ გაანთავისუფლა. მათ მოელით ელექტრონის სკამზე სიკვდილით დასჯა.

სურათზე: დელტონი და ბურლოკი

3) კოლომენსკის ორთქლმავალთა ქარხანა.

კოლომენსკის ქარხნის გენერალურ გეგმის მიხედვით 30-31 წელს აშენდება მრავალი ახალი ცეხი. მეთექვსმეტე საკავშირო ყრილობის დასაწყისს თანავე ამუშავდა ახალი ცეხი. გეგმის გარეშე ქარხანა გამოუშვებს ოთხ დიზელს და ერთ ორთქლმავალს, რომლის დელეგატებმა პატაკი მიართვეს მეთექვსმეტე საკავშირო ყრილობას.

სურათზე: ორთქლმავალი, რომელზედაც დელეგატები გაემგზავრნენ.

4) რევოლიუციონური მოძრაობა იაპონიაში.

ტოკიოში წარსულ თვეს ტრამვაის მუშებმა მოაწყვეს დიდი მიტინგი, სადაც მოითხოვდენ დათხოვნილ მუშების ხელახლა მიღებას. სურათზე: პოლიცია მიტინგს ძალით ერეკება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45

76